

თანამედროვე შრომის
სამართლის მიმოხილვა

CONTEMPORARY
LABOUR LAW REVIEW

№1, 2020

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
Scientific-Practical Journal

წიგნის რეცენზია

საყურადღებო კვლევა სამოქალაქო სამართალში
რეცენზია გიორგი ამირანაშვილის წიგნზე
ლადო ჭანტურია

21-ე საუკუნის აშშ-ის შრომის სამართლის კემბრიჯის
სახელმძღვანელო – რეცენზია
ანდრეა ბორონი

რეცენზია დოქტ. ზაქარია შველიძის მონოგრაფიაზე
„სამოქალაქო მოთხოვნათა ფარგლები შრომითი
დისკრიმინაციის დავისას“
გიორგი ამირანაშვილი

სტატია

ვიქტიმიზაცია, როგორც დასაქმებულის
დისკრიმინაციისგან დაცვის მექანიზმი
სალომე უგლავა

სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
პრაქტიკა შრომით დავებზე (ცალკეული ნორმის
სასამართლოსეული განმარტებანი)
სალომე ბერიძე

BOOK REVIEW

Important Research in Civil Law
Review on the Book by Giorgi Amiranashvili
Lado Chanturia

The Cambridge Handbook of U.S. Labor Law for the
Twenty-First Century – A Review
Andrea Borroni

Review on the Monograph by Dr. Zakaria Shvelidze
“The Scope of Civil Claims in Labour Discrimination
Disputes”
Giorgi Amiranashvili

ARTICLE

Victimization as a Mechanism to Protect Employees
from Discrimination
Salome Uglava

CASE LAW REVIEW

The Practice of the Supreme Court of Georgia on
Labour Disputes (Court’s Explanations About Some
Norms)
Salome Beridze



ა(ა)იპ - თანამედროვე შრომის სამართლის ცენტრი

თანამედროვე შრომის სამართლის მიმოხილვა

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№1, 2020

მთავარი რედაქტორი

გიორგი ამირანაშვილი (ასისტ.-პროფ., დოქტ.)

EDITOR-IN-CHIEF

Giorgi Amiranashvili (Asst. Prof. Dr.)

სამეცნიერო საბჭო:

ანდრეა ბორონი (პროფ., დოქტ.)
რიჩარდ ბეილსი (პროფ., დოქტ.)
რობერტა კარანიანო (პროფ., დოქტ.)
ვახტანგ ზაალიშვილი (ასოც. პროფ., დოქტ.)
ელენა სიჩენკო (ასოც. პროფ., დოქტ.)
მარკო სეგესიო (დოქტ.)
სალომე ქერაშვილი (დოქტ.)

SCIENTIFIC COUNCIL:

Andrea Borroni (Prof. Dr.)
Richard A. Bales (Prof. Dr.)
Roberta Caragnano (Prof. Dr.)
Vakhtang Zaalishvili (Assoc. Prof. Dr.)
Elena Sychenko (Assoc. Prof. Dr.)
Marco Seghesio (Dr.)
Salome Kerashvili (Dr.)

მთავარი რედაქტორის ასისტენტი

მარიამ ასტამიძე (სტუდენტი)

ASSISTANT TO THE EDITOR-IN-CHIEF

Mariam Astamidze (LL.B. Student)

სარედაქციო კოლეჯია:

ქართული ენის რედაქტორი
ნათია კენტჩიაშვილი

ინგლისური ენის კორექტორი
ვიკრამ კონა

ტექნიკური რედაქტორი
თამარ სტეფნაძე

EDITORIAL BOARD:

Georgian Language Editor
Natia Kentchiashvili

English Language Proofreader
Vikram Kona

Technical Editor
Tamar Stepnadze

NNLE CENTER FOR CONTEMPORARY LABOUR LAW

CONTEMPORARY LABOUR LAW REVIEW

Scientific-Practical Journal

№1, 2020

უკ (UDC) 349.2

თ-295

ჟურნალი გამოიცემა საადვოკატო ბიუროს
“OK & CG” (ოთარ კაჭკაჭაშვილი და
კონსულტანტთა ჯგუფი) მხარდაჭერით

The Journal is published with the support of
the Law Office “OK & CG” (Otar Kachkachashvili
and the Consultant Group)

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“, 2020
Printed in “Meridiani” Publishers, 2020

© 2020. ყველა უფლება დაცულია.
© 2020. All rights reserved.

ელფოსტა / Email – contlablawrev@gmail.com

ჟურნალის გამომცემლები არ არიან პასუხისმგებელი გამოცემის ავტორთა მიერ გამოთქმულ
შეხედულებებზე.

The Journal publishers assume no responsibility for the views expressed by the authors contributed to
the issue.

ISSN 2667-9574



OK & CG
PRIMUS INTER PARES
იურიდიული კომპანია/LAW OFFICE



სარჩევნი

TABLE OF CONTENTS

მთავარი რედაქტორისაგან

A LETTER FROM THE EDITOR-IN-CHIEF 7

ანდრეა ბორონი

COVID-19 და შრომის სექტორი: რეგულირება, ეკონომიკა და რეაგირება

Andrea Borroni

COVID-19 AND THE LABOUR SECTOR: REGULATION, ECONOMY AND RESPONSE 10

I. წიგნის რეცენზია

I. BOOK REVIEW

ლადო ჭანტურია

საყურადღებო კვლევა სამოქალაქო სამართალში

რეცენზია გიორგი ამირანაშვილის წიგნზე

Lado Chanturia

Important Research in Civil Law

Review on the Book by Giorgi Amiranashvili 19

ანდრეა ბორონი

21-ე საუკუნის აშშ-ის შრომის სამართლის კემბრიჯის სახელმძღვანელო – რეცენზია

Andrea Borroni

The Cambridge Handbook of U.S. Labor Law for the Twenty-First Century – A Review 21

გიორგი ამირანაშვილი

რეცენზია დოქტ. ზაქარია შველიძის მონოგრაფიაზე „სამოქალაქო მოთხოვნათა ფარგლები შრომითი დისკრიმინაციის დავისას“

Giorgi Amiranashvili

Review on the Monograph by Dr. Zakaria Shvelidze “The Scope of Civil Claims in Labour Discrimination Disputes”27

II. სტატია

II. ARTICLE

სალომე უგლავა

ვიქტიმიზაცია, როგორც დასაქმებულის დისკრიმინაციისგან დაცვის მექანიზმი

Salome Uglava

Victimization as a Mechanism to Protect Employees from Discrimination33

III. სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

III. CASE LAW REVIEW

სალომე ბერიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა შრომით დავებზე (ცალკეული ნორმის სასამართლოსეული განმარტებანი)

Salome Beridze

The Practice of the Supreme of Georgia on Labour Disputes (Court’s Explanations About Some Norms) 45

IV. დანართი

IV. ATTACHMENT

საქართველოს შრომის კოდექსი

Labour Code of Georgia.....59

მთავარი რედაქტორისაგან

ძვირფასო მკითხველო,

მოხარული ვართ, წარმოგიდგინოთ ა(ა)იპ – თანამედროვე შრომის სამართლის ცენტრის პერიოდული გამოცემის, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის – „თანამედროვე შრომის სამართლის მიმოხილვის“ პირველი ნომერი.

ჟურნალი 2019 წლის 29 ნოემბერს დაფუძნდა. მისი დაარსების ღონისძიებას, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა, შრომის სამართლის სფეროში მოღვაწე სამთავრობო და არასამთავრობო სექტორი, მოსამართლეები, პრაქტიკოსი იურისტები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები და სტუდენტები ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე დამსწრეთა რაოდენობა და შემდგომი გამოხმაურება მხოლოდ იმაზე მიგვანიშნებს, თუ რაოდენ დიდია ჟურნალისადმი საზოგადოების დაინტერესება, რაც, თავის მხრივ, გვაავალდებულებს, დავაკმაყოფილოთ მკითხველთა ინტერესი და მივცეთ მათ შესაძლებლობა, ჟურნალის ფურცლებიდან ამოიკითხონ სასარგებლო ინფორმაცია თანამედროვე შრომის სამართლის აქტუალურ და პრობლემატურ საკითხებზე. ვიმედოვნებთ, რომ ყველანი ერთად თავს გავართმევთ ამ მნიშვნელოვან გამოწვევას.

ჟურნალი გამოიცემა საადვოკატო ბიუროს “OK & CG” (ოთარ კაჭკაჭაშვილი და კონსულტანტთა ჯგუფი) მხარდაჭერით. ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა ასეთი გამორჩეული იურიდიული კომპანიის პარტნიორობა და გვერდში დგომა ამ მნიშვნელოვან საქმეში, რისთვისაც მას გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ. აქვე გამოვთქვამთ იმედს, რომ ეს ნაყოფიერი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება და უფრო გაღრმავდება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ცენტრის დაფუძნებიდან ჯერ მხოლოდ ოთხი წელია გასული, მისი ეგიდით უკვე არაერთი აქტივობა განხორციელდა და სამომავლოდაც

დასახული გვაქვს მთელი რიგი გეგმები როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში, რაც ითვალისწინებს არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე საქმიანობას. უნდა ითქვას, რომ ეს ჟურნალიც ამ გეგმების ერთ-ერთი ნათელი გამოხატულება და სტრატეგიული ნაწილია.

საერთო ჯამში, წინამდებარე ნომერზე მუშაობა არაერთ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ერთი მხრივ, გლობალური პანდემია აღმოჩნდა ის ხელის შემშლელი ფაქტორი, რამაც ჩვენ მიერ დასახული მიზნების უფრო სწრაფი და ეფექტიანი განხორციელება მნიშვნელოვნად შეაფერხა. მეორე მხრივ კი, მიმდინარე წლის 29 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს შრომის კოდექსში მესამე მოსმენით მიღებულმა ცვლილებებმა დღის წესრიგში დააყენა ჟურნალის ამ გამოცემის გარკვეული ნაწილების აღნიშნულ ცვლილებებთან ადაპტირების საჭიროება. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ COVID-19-ის მოვლენამ ახალ განზომილებაში გადაიყვანა თანამედროვე შრომის სამართალი (რასაც ნათლად ადასტურებს ცენტრის იტალიელი დამფუძნებელი წევრის მცირე, თუმცა უაღრესად საინტერესო წერილი, რომელიც ამშვენებს ჟურნალის მოცემულ ნომერს), ხოლო ჩვენს კოდექსში ახალმიღებული ცვლილებები ბიძგის მიმცემი იქნება ქართული შრომის სამართლის სამომავლო განვითარებისთვის. ეს ის თემებია, რომლებსაც უფრო დეტალურად და სიღრმისეულად აუცილებლად გამოეხმაურება ჟურნალის შემდეგი გამოცემები.

რაც შეეხება წარმოდგენილ ნომერსა და მის შინაარსობრივ მხარეს, მასში თქვენ იხილავთ ჩვენი როგორც ქართველი, ისე უცხოელი კოლეგების გამოხმაურებებსა და რეცენზიებს საქართველოში თუ საზღვარგარეთ ამ უკანასკნელ წლებში გამოცემულ თემატურ წიგნებზე. ჟურნალის ფურცლებზე

აგრეთვე შეხვედებით ჩვენი წარმატებული ახალგაზრდა კოლეგებისა და სტუდენტების მიერ შესრულებულ ნაშრომებს შრომის სამართლის აქტუალურ თემებზე. დაბოლოს, დანართის სახით მოცემულია საქართველოს შრომის კოდექსის კონსოლიდირებული და საბოლოო ვერსია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე, რაც, ვფიქრობთ, ჩვენს ქართველ და უცხოელ მკითხველებს გაუმარტივებს წვდომას კანონის იმ უახლეს რედაქციაზე, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკანონმდებლო ხელისუფლებამ სულ ახლახანს დაამტკიცა.

დასასრულ, ისღა დაგვჩენია, მკითხველს სასიამოვნო კითხვა ვუსურვოთ, ჩვენ კი გავაგრძელებთ მუშაობას ჟურნალის შემდეგ ნომრებზე და სიამოვნებით მივიღებთ ყველა იმ ობიექტურ მოსაზრებასა თუ საქმიან წინადადებას, რაც ხელს შეუწყობს ჟურნალის შემდგომ გამოცემათა დახვეწასა და განვითარებას.

ჟურნალის გამომცემელთა
სახელითა და პატივისცემით,
ასისტ.-პროფ., დოქტ. გიორგი ამირანაშვილი
თბილისი, 2020 წლის 5 დეკემბერი

A LETTER FROM THE EDITOR-IN-CHIEF

Dear reader,

We are pleased to present the first issue of the scientific-practical journal Contemporary Labour Law Review, – published by the Center for Contemporary Labour Law.

The journal has been launched on 29 November 2019. The launch event, hosted by Tbilisi State University, was attended by the representatives of government and non-governmental sectors working in the field of labour law, judges, legal practitioners, academics and students. The number of attendees at the event and subsequent feedback indicates how great the public interest in the journal has been, which, in turn, obliges us to satisfy the interest of readers and give them the opportunity to read useful information on current and problematic issues of contemporary labour law. We hope that together we will face this important challenge.

The journal is published with the support of the Law Office “OK & CG” (Otar Kachkachashvili and the Consultant Group). We are especially pleased to partner with such a distinguished law firm and stand together in this important matter, for which we would like to express our sincere gratitude. We also hope that this fruitful cooperation will continue and deepen in the future.

Although only four years have passed since the establishment of our center, various activities have been carried out, and we have set a number of plans for the future, both short-term and long-term, which include not only local activities but also at the international level. It must be said that this journal is also one of the clearest expressions and strategic part of these plans.

Working on this issue was fraught with difficulties. On the one hand, the global pandemic turned out to be a factor that significantly hindered the

faster and more effective implementation of the goals we set. On the other hand, the amendments to the Labour Code adopted by the Parliament of Georgia, on 29 September 2020, in the third reading necessitated the need to adapt certain parts of this edition of the journal to the amendments. However, it should be noted that COVID-19 has taken contemporary labour law to a new dimension (as evidenced by the brief but highly interesting letter from the Italian founding member of the center, which adorns this issue of the journal). These are the topics to which the subsequent issues of the journal will respond in more depth and detail.

As for the present issue and its contents, you will find the responses and reviews of our Georgian and foreign colleagues on law books published in recent years in Georgia and abroad. You will also find papers written by our successful young colleagues and students on current topics in labour law. Finally, the appendix provides a consolidated and final version of the Labour Code of Georgia in both Georgian and English, which we think will make it easier for our Georgian and foreign readers to access the latest version of the law, which was recently approved by the legislature, as mentioned above.

In conclusion, it is only left for us to wish the reader a pleasant reading, whereas we will continue to work on subsequent issues of the journal and will gladly accept all the objective opinions or kind suggestions that would be helpful for improving and developing further editions of the journal.

On behalf of the journal publishers
and yours respectfully,
Asst. Prof. Dr. **Giorgi Amiranashvili**
Tbilisi, 5 December 2020

COVID-19 და შრომის სექტორი: რეგულირება, ეკონომიკა და რეაგირება

შესავალი

ბევრ ქვეყანაში გამოცხადდა საგანგებო ზომები ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივ გავრცელებასთან საბრძოლველად.

პანდემია აღმოჩნდა ძირითადი ფაქტორი, რამაც ხელი შეუშალა ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ წამოწყებებსა თუ მიღწევებს მთელს მსოფლიოში. მოსახლეობის უმეტესობა იმყოფება ან იმყოფებოდა თვითიზოლაციას ან კარანტინში, ვირუსული ინფექციის თავიდან ასაცილებლად.

ამ მხრივ, გავლენა, რაც COVID-19-მა იქონია შრომის ბაზარსა და მის ეროვნულ რეგულაციებზე, იყო მკვეთრი, ღრმა და ფართო და გარკვეულწილად რევოლუციური.

კრიზისი, რომელიც ეროვნულ კანონმდებლებს უბიძგებს, მოახდინონ რეაგირება მათი სრული და საგანგებო უფლებამოსილებების გამოყენებით, მთელ რიგ ახალ ზომებთან ერთად, რომლებიც, ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე შეიძლება შენარჩუნდეს და განმტკიცდეს სამომავლოდ, როდესაც კორონავირუსი საბოლოოდ დამარცხდება.

თითოეული ქვეყნის მიერ მიღებული შეზღუდვები განსხვავდებოდა იმის მიხედვით, თუ როგორ იყო ადაპტირებული ეროვნული დაწესებულებები, დასაქმება და ეკონომიკური სტრუქტურა.

კარგად არის ცნობილი, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ, რომელსაც გააჩნია პროფესიული სტრუქტურა აქტიური დასვენებისა და სტუმართმყოფარეობისათვის, ძლიერ იზარალა კრიზისისგან. იგივე ითქმის მიკრობიზნესებზე, თვითდასაქმებულებსა და დროებით მუშაკებზე, უარყოფით შედეგებთან ერთად, რაც ღრმად ახდენს გავლენას სამუშაო ბაზარზე. მაგალითად, იტალია განეკუთვნება ამ კატეგორიას და მისი ეკონომიკური მდგომარეობა განსაკუთრებით სამწუხაროა.

გარდა ამისა, ჯერჯერობით, შრომის სამართლის რეგულაცია, რომელიც *ad hoc* იქნა მიღებული კრიზისის საპასუხოდ, იყო არასაკმარისი და ყურადღება ჰქონდა მიპყრობილი მხოლოდ სამუშაო ადგილის უსაფრთხოებაზე. მოქნილი სამუშაო შესაძლებლობების შესახებ ლიტერატურა მწირია, ხოლო ამჟამინდელი

შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობებით იგნორირებულია სასამართლოების როლი შრომითი დავების დროულად მოგვარებაში.

პირიქით, სადაც სასიცოცხლოდ აუცილებელი ან დისტანციური სამუშაოს სექტორების პროცენტული მაჩვენებელი უფრო მაღალია, დასაქმებულები ნაკლებად განიცდიან ამჟამინდელი კრიზისის უარყოფით შედეგებს.

ამავდროულად, ქალები, ახალგაზრდები, თვითდასაქმებულები, სარისკო, დაბალი კვალიფიკაციისა და დაბალი ხელფასის მქონე მუშაკები უფრო მეტად არიან წარმოდგენილი იძულებით დახურულ სექტორში. ბევრ ქვეყანაში სასიცოცხლოდ აუცილებელი და დისტანციური სამუშაო სექტორების მუშაკებიც დაზარალდნენ (რომლებიც, როგორც წესი, არასაკმარისად არიან წარმოდგენილი ძირითადად არაარსებით სეგმენტებში).

დასკვნის სახით, აშკარაა, რომ თავისუფლების შეზღუდვის ზომების ყველაზე უარყოფითი შედეგები კონცენტრირებული იყო ყველაზე მოწყვლად და დაუცველ სამუშაო ძალებზე.

საქართველოს შემთხვევა

COVID-19 პანდემიის საპასუხოდ, 2020 წლის 21 მარტს, საქართველომ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა პრეზიდენტის დეკრეტით,¹ რაც ითვალისწინებდა მოქალაქეების სახლში დარჩენის მოვალეობას. დეკრეტის პირველ მუხლში ნათლად არის ნათქვამი, რომ „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების, ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევის გათვალისწინებით, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ პანდემიაზე შესაბამისი რეაგირების მიზნით და იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეასრულოს თავისი კონსტიტუციური ვალდებულება – უზრუნველყოს

¹ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის დეკრეტი №1 „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“. ხელისაწვდომია <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830372?publication=0>>.

დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირება და სიტუაციის მართვა, საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა და „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით შეიზღუდოს საქართველოს კონსტიტუციის მე-13, მე-14, მე-15, მე-18, მე-19, 21-ე და 26-ე მუხლებში მითითებული უფლებები“.

საქართველოს მთავრობას არ დაუწყებია შრომითი უფლებების პირდაპირი შეზღუდვები, თუმცა ეკონომიკურ საქმიანობასთან, სოციალურ დისტანცირებასთან დაკავშირებული რეგულაციები და დისტანციური სამუშაო რეჟიმის დაწესება მნიშვნელოვან როლს ასრულებს შრომის ბაზრის ფუნქციონირებაში COVID-19-ის პერიოდში.

დასაქმებულები, რომლებმაც ტესტის დადებითი შედეგი მიიღეს COVID-19-ზე, მოიხსნენ სამუშაოდან და ვალდებული არიან, გაიარონ სამედიცინო მკურნალობა, დარჩნენ კარანტინსა და იზოლაციაში, ზოგჯერ არასამედიცინო დაწესებულებებში, როგორცაა მათი საკუთარი ბინები.

ამ პერიოდის განმავლობაში, მუშაკები იღებდნენ სრულ ანაზღაურებას.

რაც შეეხება სამუშაო ადგილზე სოციალურ დისტანცირებასა და დისტანციურ სამუშაოს, მუშაკებმა უნდა დაიცვან ორ მეტრზე არანაკლები დისტანცია ნებისმიერ სამუშაო სივრცეში და მოქნილი სამუშაო წახალისებულია, როდესაც სახლიდან მუშაობა შესაძლებელია.

მას შემდეგ, რაც საქართველოში უსაფრთხოების პრობლემები კონტოლის ქვეშ მოექცა, თანამედროვე პირობებში ოპერატიული და სრულად ფუნქციონირებადი სოციალური დაცვის სისტემის არარსებობამ, მრავალი ეკონომიკური საქმიანობის იძულებითმა დაბლოკვამ და ამის შედეგად ოჯახებისთვის შემცირებულმა შემოსავლებმა დააზარალა დასაქმების მაჩვენებელი მთელს ქვეყანაში.

გარდა ამისა, დამსაქმებლებს აქვთ შესაძლებლობა, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ხელშეკრულება ეკონომიკური მიზეზების საფუძველზე, უბრალოდ სამი დღით ადრე

დასაქმებულებისთვის შეტყობინებითა და ორი თვის გამოსასვლელი შემწეობის გარანტირებით. დასაქმებულისთვის კიდევ ერთი ვარიანტია ხელშეკრულების შეჩერება ნორმალური სამუშაო პირობების განახლებამდე. ამ სიტუაციაში, მუშაკი არ იღებს ანაზღაურებას, თუმცა ინარჩუნებს სამუშაოს.

პარალელურად, მთავრობა აფინანსებს კომუნალური გადასახადების გადახდას (მარტი-მაისის პერიოდის განმავლობაში), სუბსიდირებულია კონკრეტული საკვები პროდუქტების ფასი (ბრინჯი, წიწიბურა, მაკარონი, ზეთი, ფქვილი, ხორბალი, რძის ფხვნილი, შაქარი და ლობიო) და კომერციულმა ბანკებმა გამოაცხადეს მორატორიუმი მსესხებლებისთვის სამი თვის ვადით.

მთავრობამ აამოქმედა ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა COVID-19-ის დრამატული ეკონომიკური შედეგების შემსუბუქების მიზნით. ამ ინიციატივებს შორის აღსანიშნავია შემდეგი: (i) მუშაკებს, რომლებსაც შეუჩერდათ ან შეუწყდათ ხელშეკრულება, უფლება აქვთ, მიიღონ ექვსთვიანი ფინანსური დახმარება თვეში 200 ლარის ოდენობით; (ii) თვითდასაქმებულებს უფლება აქვთ, მიიღონ ერთჯერადი დახმარება 300 ლარის ოდენობით, შემოსავლის დაკარგვის შემთხვევაში.

კორონავირუსის საგანგებო ვითარება ხაზს უსვამს იმას, რომ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხილული მდგრადი ზომები მუშაკთა დასახმარებლად, რომლებმაც დაკარგეს სამუშაო.

დასკვნა

COVID-19-მა აჩვენა, თუ რამდენად არაადეკვატური დახმარება არსებობს უმუშევრობის დაზღვევისა და სოციალური უსაფრთხოების ქსელის თვალსაზრისით მრავალი სუსტი მუშაკისთვის.

ამის საპირისპიროდ, ზოგიერთ სექტორში, ახლადდაწესებულმა სამუშაო პირობებმა, შეზღუდვებმა და თავისუფლების შეზღუდვის ღონისძიებებმა აჩვენა მათი ეფექტურობა.

სადაც საჭიროა სოციალური ურთიერთქმედების გარკვეული დონე (როგორც ეს ხდება განათლებაში, საჯარო მმართველობაში, ტელეკომუნიკაციებში, პროფესიულ და სამეცნიერო საქმიანობაში), სექტორები, რომლებშიც დისტანციური მუშაობაა შესაძლებელი, ხასიათდება დასაქმების უკეთესი პირობებითა და, უპირველეს ყოვლისა, ადაპტაციის

უფრო მაღალი ხარისხით.

რამდენადაც დისტანციურად მუშაობის შესაძლებლობამ დააკმაყოფილა რამდენიმე საჭიროება, სასურველია, არ შეჩერდეს ეს პრაქტიკა, როდესაც პანდემია დასრულდება.

ბევრ მუშაკს შეეძლო იმავე სამუშაოს უზრუნველყოფა სახლიდან (საერთო სამუშაო სივრცეების ჩათვლით) მათთვის ნაკლები დანახარჯებით (მაგალითად, მგზავრობის ხარჯები), რაც მათთვის და მათი ოჯახებისთვის ზოგავს დროს. დისტანციური სამუშაო ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას საწვავისა და დაბინძურების სხვა ფორმების შემცირებით და ასევე დამსაქმებლისთვის ზოგავს ფულს მგზავრობის ხარჯების, კვების ბარათების, სამუშაო ადგილს ან სამუშაოზე მიმავალ გზაზე უბედური შემთხვევების დაზღვევის, ელექტროენერჯის, დაწესებულების ხარჯებისა და საიჯარო გადასახადების და ა.შ. შემცირების გზით.

მაგალითად, უნივერსიტეტის ან იურიდიული ფირმის დასაქმებულებს შეუძლიათ შესანიშნავად ასწავლონ ან მისცენ რჩევები ონლაინრეჟიმში, ჰქონდეთ ურთიერთკავშირი სხვა პერსონალთან, მონაწილეობა მიიღონ კლიენტებთან შეხვედრებში და იმოგზაურონ ვირტუალურად მთელს მსოფლიოში, წაიკითხონ მოხსენებები ან უხელმძღვანელონ გუნდებს სახლში ყოფნის დროს.

გარდა ამისა, მოქნილი/დისტანციური მუშაობის პოზიტიური ეფექტის სახით, ხდება მცირე ქალაქებში მოსახლეობის გადანაწილება, რაც შეამცირებს მოძრაობას და შეინარჩუნებს სიცოცხლეს სოფლად.

საგანგებო ზომებს ჯერ კიდევ არ გადაუჭრია პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან უმუშევრები, რომელთა რიცხვიც, სავარაუდოდ, გაიზრდება მოკლევადიან პერსპექტივაში. კრიზისი შეცვლის უმუშევრობის ნორმალურ თანაფარდობას თავშეკავებული ეკონომიკური აქტივობისა და დასაქმების დეფიციტის კონტექსტში.

ამრიგად, ეკონომიკურ ზომებთან ერთად, რომლებიც მიზნად ისახავს მოსახლეობის მოწყვლადი სექტორების სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობის გაიოლებას, ასევე უდიდესი მნიშვნელობა ექნება მექანიზმების შექმნას აღსადგენად და აგრეთვე, ხელსაყრელი ინსტრუმენტების შემუშავებას სამუშაოს მაჩვენებლის გაზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნისთვის.

გრძელვადიან პერსპექტივაში, რეკომენდებ-

ბულია ფართო მიდგომის გამოყენება, რასაც ექნება შრომის სამართლის სექტორის ზომების სამრეწველო ურთიერთობების საწარმოო და საინვესტიციო ჩარევის ასპექტებთან შეხამების უნარი, დასაქმების ახალი შესაძლებლობების გათვალისწინებით, როგორცაა, მაგალითად, მწვანე და ლურჯი ეკონომიკები და ბლოკჩეინ-აპლიკაციები. ეკონომიკის ეს სექტორები იზრდება და შთანთქმავს სამუშაო ადგილების მზარდ რაოდენობას.

კიდევ ერთხელ, ამ პრობლემების არსებობა უკვე წლებია ცნობილია; პანდემიამ მხოლოდ საკანონმდებლო რეაქციის აუცილებლობა გაამწვავა.

ამ წამოწყებაში, პოტენციურად დადებითი მხარეა ის, რომ იგი აძლევს კანონმდებლებს შანსს, ხელახლა ააგონ და მოიყვანონ წესრიგში უფრო მდგრადი სოციალური უსაფრთხოების სისტემა და მუშაკთა უკეთესი დაცვა, რაც მათ ანიჭებს უფლებებს, რათა სირთულეების შემთხვევაში მათი ხმა იყოს გასაგონი.

მთავრობები მძიმე კრიზისის წინაშე აღმოჩნდნენ, რასაც საშინელი სოციალურ-ეკონომიკური ტვირთი მოჰყვა. თუმცა, მეორე მხრივ, შრომის სამართალმა, ზოგიერთ შემთხვევაში, აღმოაჩინა გამოსადეგი წამალი, რათა მოახდინოს რეაგირება და მოამზადოს გზა რენესანსისა და ახალი რევოლუციური სამუშაო სტრუქტურისთვის.

დასასრულ, საუკეთესო პასუხი, სამართლის ინტერპრეტატორებისთვის უკვე კარგად ცნობილი ფორმულის მიხედვით, სინთეზირებულია უფრო და უფრო მეტად გამოყენებულ პროტოკოლში, „პოლიტიკა და/ან კანონი 1“ – ე.ი. ძირითადი პოლიტიკური და სოციალური არჩევანის, დირექტივებისა და თანმხლები საუკეთესო პრაქტიკის კომბინაცია, მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს საჭიროა, კონკრეტული და მარტივი სამართლებრივი დებულებებით – და ამისგან შეადგინა მისი წარმატების რეცეპტი.

როდესაც საფუძველი მყარია, სასახლე შეიძლება უსაფრთხოდ აშენდეს მასზე.

პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა განაგრძონ ცვლილება; იურისტები დაადგინენ ტექნიკურ მითითებებს, რათა მათი არჩევანი ეფექტური და ადვილად გამოყენებადი გახადონ.

პროფ., დოქტ. ანდრეა ბორონი
ლუიჯი ვანვიტელის სახელობის
კამპანის უნივერსიტეტი

ინგლისურიდან თარგმნა ასისტ.-პროფ., დოქტ.
გიორგი ამირანაშვილი

COVID-19 AND THE LABOUR SECTOR: REGULATION, ECONOMY AND RESPONSE

Introduction

Emergency measures have been declared in many countries to tackle the massive spread of the novel coronavirus (COVID-19).

The pandemic has turned out to be a major factor hampering economic, social, and political undertakings and accomplishments around the globe. The majority of the population is or has been in self-isolation or quarantine to preclude the virus infection.

In this respect, the impact that COVID-19 had on the labour market and its national regulations has been drastic, deep, and wide and, to some extent, revolutionary.

A crisis pushing national legislators to respond, by means of their full and emergency powers, with a bunch of new measures that, in some cases, could also be preserved and buttressed for the future when the coronavirus will be eventually defeated.

The restrictions adopted by each country have been different, depending on how the national institutions, employment, and economic structure were tailored.

It is well known that some countries that have a vocational structure for leisure activities and hospitality have been strongly affected by the crisis. The same is true for micro-businesses, self-employed and temporary workers, with the negative consequences affecting the job market deeply. Italy, for instance, belongs to this category and its economic situation is particularly sad.

Furthermore, so far, the labour law regulation enacted *ad hoc* in reaction to the crisis has been poor and focused only on the safety at the workplace. Literature on smart working opportunities is scarce while current labour contractual relationships ignored the role of the courts in settling labour disputes in time.

On the contrary, where the percentages of essential or remote-work sectors are higher, employees have been less exposed to the negative consequences of the current crisis.

At the same time, women, young persons, self-employed, precarious, low skilled and low-wage workers are more represented in the forcefully closed sector. In many countries, even workers in the essential and remote-work sectors (being generally underrepresented

in the mostly non-essential segments) were affected.

To sum up, it is evident that the most adverse outcomes of the confinement measures were concentrated on the most vulnerable and disadvantaged workforces.

The Case of Georgia

In reaction to the COVID-19 pandemic, on 21 March 2020, Georgia declared the state of emergency by means of a presidential decree,¹ which has entailed a duty to stay at home for citizens. In the first article of the decree, it is clearly stated that “[i]n connection with the declaration of a state of emergency throughout the whole territory of Georgia, taking into account the mass spread of the novel coronavirus (COVID-19) and the increasing challenge facing the country, for the purposes of an appropriate response to the pandemic announced by the World Health Organization and in order for the State to fulfil its constitutional obligations to ensure necessary public security in a democratic society, to reduce any possible threat to the life and health of the country’s population, and to control the situation, in accordance with Article 71(3) and (4) of the Constitution of Georgia and Article 2(3) and (4) of the Law of Georgia on State of Emergency, the rights referred to in Articles 13, 14, 15, 18, 19, 21 and 26 of the Constitution of Georgia shall be restricted for the duration of the state of emergency throughout the whole territory of Georgia”.

Georgian government did not enact direct restrictions on labour rights, even though regulations concerning economic activities, social distancing, and establishing the remote-work regime are playing a relevant role in the functioning of the labour market during the COVID-19 period.

The employees who tested positive for COVID-19 are suspended and obliged to undergo medical treatment, remain in quarantine and isolation, sometimes in non-medical establishments such as their own apart-

¹ Decree №1 of the President of Georgia of March 21, 2020 on Measures to be Implemented in connection with the Declaration of a State of Emergency throughout the Whole Territory of Georgia. Available at <<https://matsne.gov.ge/en/document/view/4830372?publication=0>>.

ments.

During this period, workers received full pay.

As far as the workplace social distancing and remote work are concerned, workers must maintain a distance of not less than two meters in any working area and smart working is encouraged when working from home is possible.

Once the safety concerns were brought under control in Georgia, the absence of a prompt and fully functioning social security system in modern terms, the forced lockdown of many economic activities and the resultant diminished incomes for the families affected employment rates in the whole country.

Furthermore, employers have the option to terminate an employment contract with immediate effect based on economic causes, simply by notifying employees three days in advance and guaranteeing two months' severance pay. Another option for the employee is to suspend the contract until the normal working conditions restart. In this situation, the worker does not receive the pay but conserves the employment.

In parallel, the government is funding the payment of the utilities (during the March-May period), subsidized the price of specific food products (rice, buckwheat, pasta, oil, flour, wheat, milk powder, sugar and beans), and the commercial banks announced a moratorium for borrowers for three months.

The government launched an Anti-Crisis Economic Plan (ACEP) to alleviate the dramatic economic consequences of COVID-19. Among the initiatives, the following are noteworthy: (i) the workers suspended or terminated are entitled to receive a six-month financial support of 200 GEL per-month; (ii) the self-employed are entitled to receive a one-time assistance of 300 GEL in case of loss of income.

The coronavirus emergency underlines how the enactment of stable measures to support workers who lost their jobs should be considered promptly.

Conclusion

COVID-19 has shown how inadequate support is in terms of unemployment insurance and social safety net for many weak workers.

In contrast, in some sectors, the newly imposed working conditions, the restrictions and compulsory confinement measures have shown their efficacy.

Where some level of social interaction is required

(as it occurs in education, public administration, telecommunications, professional, and scientific activities), sectors in which remote work is possible are featured by better employment conditions and, above all, higher degree of adaptability.

As the opportunity to work remotely met several needs, it is advisable to not suspend this practice when the pandemic is over.

Many workers could provide the same performance from home (including co-working places) with less expenses for them (travel costs, for instance), saving time for them and their families. Remote work lowers the stress on the environment by cutting down fuels and other forms of pollutions and also saves money for the employer by cutting down the costs of travels, food cards, insurance for accidents at workplaces or on the way to work, electricity, premises fees and rents, etc.

For example, employees of a university or a law firm, can perfectly teach or advice online, interact with other staff, participate in client meetings and travel virtually all around the world, give speeches or lead teams while sitting at home.

In addition, as a positive effect of smart/remote working, small towns are repopulated, which will reduce traffic and preserve life in the countryside.

The emergency measures, so far, did not address the challenges faced by unemployed people, whose number is likely to increase in the short term. The crisis will alter the normal ratio of unemployment in the context of restrained economic activity and employment scarcity.

Therefore, along with the economic measures aimed at facilitating access to social protection to the vulnerable sectors of the population, it will also be of utmost importance to draft the drivers for the recovery and also the convenient tools to augment the job rate and job creation.

It is advisable for a long term to adopt a wide-minded approach able to combine the labour law sector measures with the industrial relationship aspects of productivity and investment intervention, looking at the new chances of employment, like, for instance, the Green and Blue economies and the blockchain applications.

These economic sectors are growing and absorbing an increased number of jobs.

Once again, the existence of these issues has been known for years; the pandemic only made the need of a legislative reaction urgent.

In this brew, the potential positive aspect is that it gives the legislators the chance to re-erect and re-range a more resilient social safety system and better

protection for workers, empowering them with rights to make their voice audible in case of difficulties.

The governments faced a harsh crisis leading to terrible socio-economic burdens. However, on the other hand, labour law in some cases discovered the right medicine to react and to prepare the path for a renaissance and a new revolutionized work structure.

To conclude, the best answer, according to an already well known formula for the law interpreters, is synthesized in a more and more used protocol, the “Policies And/Or Law 1” – *i.e.* combination of basic po-

litical and social choices, directives, and best practices accompanied, only when it is needed, by specific and simple legal provisions – and made of this the recipe for its success.

When the basis is solid, the palace could be safely built on.

Policy makers should drive the change; lawyers will provide the technical guidance to make their choices effective and easily applied.

Prof. Dr. **Andrea Borroni**
University of Campania, *Luigi Vanvitelli*

I. ႻႻႻႻႻ ႻႻႻႻႻႻ

I. BOOK REVIEW

საყურადღებო კვლევა სამოქალაქო სამართალში

რეცენზია გიორგი ამირანაშვილის წიგნზე

ქართულ იურიდიულ ლიტერატურას ერთი ბრწყინვალე ნაშრომი შეემატა. გიორგი ამირანაშვილის მონოგრაფია „გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა“ უდავოდ იმსახურებს ქართველი იურისტების ყურადღებას.

როგორც სამართლიანად აღნიშნავს წიგნის რედაქტორი, პროფესორი ბესარიონ ზოიძე, მონოგრაფია ისეთ ინსტიტუტს ეხება, რომლის გარშემოც ტრიალებს მთელი სამოქალაქო ბრუნვა. კერძო სამართლებრივი ურთიერთობების ნამდვილობისათვის, იმისთვის, რომ მხარეებმა სამართლებრივად მიაღწიონ დასახულ მიზანს, ზოგიერთ შემთხვევაში, მათ მოეთხოვებათ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფორმის დაცვა, რასაც წიგნის ავტორი „გარიგების ფორმის იძულებას“ უწოდებს.

კერძო სამართალში გარიგების ფორმის იძულება გარიგების ნამდვილობის გამონაკლის წინაპირობას წარმოადგენს, თუმცა ვინაიდან ის კერძო პირთათვის მნიშვნელოვან, ზოგჯერ სასიცოცხლოდ აუცილებელ საკითხებს ან სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფას შეეხება, კანონი მის მკაცრად დაცვას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ფორმის იძულება ფორმის თავისუფლების შეზღუდვას წარმოადგენს. ავტორი სწორედ ამ ასპექტით იკვლევს პრობლემას და უაღრესად საინტერესოსთან ერთად, მეტად სასარგებლო დასკვნებს გვთავაზობს.

თანამედროვე თემებზე შესრულებული ყოველი ნაშრომის მშვენიერება ისტორიული ექსკურსია. საყურადღებოა ძველ ქართულ სამართალში გარიგების ფორმის გამოყენების ავტორისეული კვლევა, რომელშიც ის გვიჩვენებს ფეოდალურ სამართალში არსებული ფორმის უსისტემობას (გვ. 16-26), რასაც ლოგიკურად მოსდევს საბჭოთა სამოქალაქო სამართალში გარიგების ფორმის მიერ შესრულებული ფუნქციის ანალიზი (გვ. 26-37). ავტორის დასკვნების დამაჯერებლობა მრავალრიცხოვანი ლიტერატურული წყაროებით არის დადასტურებული.

ავტორი დამაჯერებლად აჩვენებს გარიგების ფორმის პრაგმატულ და პრაქტიკულ დანიშნულებას და მას ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში მიმოიხილავს – ფორმის თავისუფლება

წესია, ხოლო ფორმის იძულება – გამონაკლისი (გვ. 53-60). საინტერესოა სახელშეკრულებო სამართლის ევროპეიზაციის კონტექსტში განხილული გარიგების ფორმის მომავალი ქართულ სამოქალაქო სამართალში (გვ. 67-109).

ნაშრომის ცენტრალური ნაწილი არის მოძღვრება გარიგების ფორმის ფუნქციების შესახებ. იურიდიული ლიტერატურისა და სამოსამართლო სამართლის საფუძველზე, ავტორი გვთავაზობს ფუნქციათა შემდეგ სისტემატიზაციას: სიცხადის (გვ. 117-დან), განზრახვის სერიოზულობის/გაფრთხილების (გვ. 120-დან), მკაფიოობის (გვ. 136-დან), მტკიცების (გვ. 140-დან), საკონსულტაციო (გვ. 190-დან) და საინფორმაციო ფუნქციები (გვ. 229-დან). თითოეული ეს ფუნქცია გამოკვლეულია კერძო სამართლის ცალკეული ინსტიტუტისა და მათ საფუძველზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების დრამატიზმზე დაყრდნობით. საკითხავია, თუ რატომ გამოტოვა ავტორმა გარიგების ფორმის ნამდვილობის ფუნქცია და რატომ აქვს უძრავი ნივთის შექმნისას წერილობით ფორმას მტკიცების და არა ნამდვილობის ფუნქცია (გვ. 142-დან).

სარეცენზიო ნაშრომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს შრომის სამართალში გარიგების ფორმის ანალიზი და მისი განხილვა სამოქალაქო სამართლის ზოგად ინსტიტუტებთან კავშირში (გვ. 240-დან). ამ ასპექტით, გარიგების ფორმის როლი საყურადღებოა. გარიგების ფორმის დამცავი ფუნქცია (გვ. 240-დან), რომლის მიზანია ურთიერთობის სუსტი მხარის – დასაქმებულის დაცვა, შრომის სამართალში წინა პლანზეა წამოწეული. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ თავში გაკეთებული დასკვნები და წინადადებები უაღრესად საყურადღებო და სასარგებლოა შრომის სამართალში განსახორციელებელი რეფორმების თვალსაზრისით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ამირანაშვილმა შექმნა ბრწყინვალე ნაშრომი, რომელიც სამეცნიერო კვლევების თანამედროვე მეთოდებს ემყარება, იყენებს დიდძალ, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ლიტერატურას, სასამართლო პრაქტიკას და მრავალ საყურადღებო წინადადებას შეიცავს.

ლადო ჯანტურია,

სტრასბურგი, 2020 წლის 30 მარტი

Important Research in Civil Law

Review on the Book by Giorgi Amiranashvili

Another brilliant work has been added to Georgian legal literature in the form of *Giorgi Amiranashvili's* monograph *Compulsion to Form of Transaction as a Limitation of Freedom of Form*, which truly deserves Georgian lawyers' attention.

As the book's editor – Professor *Besarion Zoidze* – rightly notes, the monograph is focused on an institution, around which entire civil turnover revolves. For the validity of private law relationships, in order to legally achieve the set goal, sometimes the parties are bound by law or mutual consent to observe the form a transaction, which the author calls “compulsion to the form of transaction”.

The compulsion to the form of transaction in private law represents an exceptional precondition for the validity of a transaction, although it addresses important, sometimes vital, issues for private individuals or ensuring the stability of a civil turnover, the law requires strict adherence to it. Therefore, the compulsion to the form of a transaction is a limitation of freedom of form. The author precisely explores the problem in this aspect and offers extremely interesting and very useful conclusions.

The beauty of any work on contemporary topics is historical background. The author's research on the use of the form of transaction in the old Georgian law is noteworthy, where he shows the unsystematic character of form in feudal law (pp. 16-26), which is logically followed by the analysis of the function of form in the Soviet civil law (pp. 26-37). The persuasiveness of the author's conclusions is confirmed by numerous literary sources.

The author convincingly demonstrates the pragmatic and practical purpose of the form of transaction and reviews it within the framework of freedom of contract – freedom of form is the rule, and compulsion to form is the exception (pp. 53-60). The future of form of transaction in Georgian civil law discussed in the context of the Europeanization of contract law is interesting as well (pp. 67-109).

The central part of the work is the doctrine on the

functions of the form of a transaction. Based on the legal literature and judicial law, the author proposes the following systematisation of the functions: clarity (from p. 117), serious intention/warning (from p. 120), accuracy (from p. 136), evidentiary (from p. 140), consultation (from p. 190) and information (from p. 229). Each of these functions has been investigated based on an in-depth analysis of the particular institutions of private law and relevant court decisions. It is not clear why the author omitted the function of the authenticity of form of transaction, why the written form has the evidentiary function and not the function of authenticity when purchasing real estate (from p. 142).

One of the most important novelties of the work is the analysis of the form of transaction in labour law and its examination in relation to the general institutions of civil law (from p. 240). In this respect, the role of the form of transaction is noteworthy. The protective function of the form of transaction (from p. 240), which aims to protect the weaker party of the relationship, the employee, is brought to the forefront in labour law. It should be said to the credit of the author that the conclusions and suggestions made in this chapter are extremely noteworthy and useful in terms of the reforms to be implemented in labour law.

In conclusion, it can be said that *Giorgi Amiranashvili* produced a brilliant work based on the contemporary methods of legal research. He uses numerous foreign and Georgian literature, court practices and proposes many important suggestions.

Lado Chanturia,
Strasbourg, 30 March 2020

Translated in English by **Tamta Berikelashvili***

* Master of Private Law; Master of European Law; Labor Relations & HR Manager at “HeidelbergCement Georgia” Ltd.; Associate Member of the NNLE Center for Contemporary labour law.

21-ე საუკუნის აშშ-ის შრომის სამართლის კემბრიჯის სახელმძღვანელო – რეცენზია

პროფესორებმა გარდენმა და ბეილსმა, 21-ე საუკუნის აშშ-ის შრომის სამართლის კემბრიჯის სახელმძღვანელოს რედაქტირებისას, შემოიკრიბეს მეცნიერთა გასაოცარი გუნდი და შემოგვთავაზეს შრომის სამართალში კრიტიკულად მნიშვნელოვან იურიდიულ საკითხებზე საინტერესო მოსაზრებები.

წიგნის ძირითადი თემატიკა ეხება არათანაზომიერ მიდგომას ხელფასის განსაზღვრის დროს. ეს საკითხი უფრო და უფრო მწვავედება და, თავის მხრივ, კავშირშია პროფესიული კავშირების გავლენის შემცირებასთან. საინტერესოა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი დასაქმების მაჩვენებელთან მიმართებით არის მზარდი აშშ-ში (ასევე მთლიანად მსოფლიოში), მსყიდველობითუნარიანობა და დასაქმებულთა ხელფასი კი განიცდის ვარდნას. ამის პარალელურად, სამუშაო ადგილზე გაერთიანებებში გაწევრიანების საკითხი უფრო და უფრო ნაკლებად დაისმის.

ზემოთ დასახელებული საკითხების განხილვის პარალელურად, წიგნში არის მოწოდება სტრუქტურული რეფორმირების, მოდერნიზაციისა და შრომითი ურთიერთობების შესახებ ეროვნული აქტის (National Labor Relations Act (NLRA)) განახლებისაკენ.

წიგნში მოცემული ყველა სტატია იდენტურ მიდგომას არ გვთავაზობს, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, განსხვავდება კიდევ ერთმანეთისგან. თუმცა ეს არის სახელმძღვანელოს ძირითადი ღირებულება, რადგან იგი გვთავაზობს განსხვავებულ გზებს რეფორმისაკენ, გარდა ამისა, მკითხველს სთავაზობს შრომის სამართლის არსებულ გამოწვევებზე განსხვავებულ პასუხებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმძღვანელოში გააანალიზებულია საკითხი შრომით ურთიერთობებში პროფესიული კავშირების დასუსტების შესახებ.

გაფიცვების გაქრობა, მუშახელის პოლიტიკური აქტიურობის დასუსტებასთან ერთად, წარმოადგენს სამრეწველო სექტორში დანაკარგების გამოხატულებას, რაც ხშირად დელოკალიზებული და უფრო ხშირად შთანთქმულია მოთხოვნაზე დამყარებული სამუშაოთი, ეს ყველაფერი კი არის

ამაო მოლაპარაკებების გავლენის გამობრწყინება, რომლისგანაც დაზარალდა პროფკავშირი; შესაბამისად, დასაქმებულთა უფლებები განიცდიდა დაცვის ამ ნაკლებობას.

პროფესიული კავშირების როლის ამ საგრძნობმა შემცირებამ გამოიწვია სამუშაოთა დაცვაში, მინიმალურ ხელფასში, ჯანმრთელობის დაზღვევასა და შრომის უსაფრთხოებაში გარკვეული უთანასწორობები.

მოვიდა დრო, შეფასდეს პოტენციური და, ამავდროულად, გარდაუვალი ცვლილებები შრომის სამართალში.

ისტორიულად, შრომის სამართლის კანონები შეიქმნა სპეციფიკური და კონტექსტუალური ეკონომიკის, სოციალური სამყაროს და პოლიტიკური ხედვისათვის.

მისი თავისებურებები შეუძლებელს ხდის მის ტრანსპლანტაციას სხვადასხვა იურიდიულ ეკოსისტემაში.

სრულად ინტეგრირებულ იმ საკომუნიკაციო და სატრანსპორტო გარემოში მწარმოებელი გიგანტური ფირმების სურათი, სადაც კონკურენცია ხორციელდებოდა მხოლოდ ეროვნულ არენაზე, ჩანაცვლდა დერეგულირების პროცესით, გლობალიზაციით, დანაწილებული წარმოების ქსელებითა და დემატერიალიზებული კაპიტალით, როდესაც მენეჯერები მართავენ ფირმებსა და დასაქმებულებს და განაგებენ მომარაგების შანსებს, რაც გეოგრაფიულადაა გავრცელებული და ხშირად ექვემდებარება შრომის სამართლის Forum Shopping-ს მოგების მხოლოდ პირველი წყურვილისთვის.

სამწუხაროდ, ეს პროცესი ქმნის ბარიერს რეფორმისთვის. ეს ბარიერი კი უფრო და უფრო მზარდია, რადგან იქმნება სისტემა, სადაც დასაქმებულთა უფლებები სუსტდება, იმის ნაცვლად, რომ სათანადო პასუხი გაეცეს გლობალურ კონკურენციას.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, დასაქმებულები იძულებული თუ არა, ვალდებული გახდნენ, დაეთმოთ საკუთარი უფლებები იმისათვის, რომ არ დაეკარგათ სამსახური. თუ ეს ადრე დროებითი იყო, ახლა წესად იქცა.

შრომითი ურთიერთობების ეროვნულმა საბჭომ (The National Labor Relation Board),

რომელიც მოიაზრებოდა როგორც კოლექტიური მოლაპარაკების ხელშემწყობი და დასაქმებულთა დამცველი ორგანო, ვერ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა უწყვეტი საკანონმდებლო ჩარევებისა და რეფორმებისთვის, რომლებიც ტარდებოდა მისი გატეხვისა და პოლიტიკური ჩარევის გაძლიერებისთვის.

ამიტომაც, რამდენადაც მეცნიერები შეზღუდული არიან შიკანით, მათ აქვთ შესაძლებლობა, შემოგვთავაზონ პოტენციურად გამოყენებადი და საჭირო საშუალებები შტატების მაგალითზე, ემპირიული ანალიზის გზით: საუკეთესო პრაქტიკები და მათი ეფექტური შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა ქვეყანაში, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა.

ამ მეთოდის მეშვეობით, შესაძლოა წარმოადგენილ იქნეს სრულყოფილი შეთავაზება დასაქმებულთა უფლებების მხარდასაჭერად. როგორც კი პროგრესი თვალსაჩინო იქნება, ეს შემდგომ უნდა იქნეს უკვე წარდგენილი ფედერალურ დონეზეც.

პრობლემების გადასაჭრელად წარმოადგენილ დამოუკიდებელ და ჰეტეროგენულ წყაროებს შესაძლოა თან ახლდეს ასევე სოციალური მოლაპარაკებებიც, სადაც სხვადასხვა კავშირი მუშაობს დასაქმებულთა ინტერესებისა და იმ ინდუსტრიების დასაცავად, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ.

ამ ატომისტური მიდგომის ფარგლებში, კონკრეტულ როლს ასრულებს საჯარო სექტორი და სამოქალაქო პირების ინტერესებით გაჯერებული ჩარევა. შრომის ორგანიზებაში უკეთესი ჩართულობა არამარტო იძლევა საშუალებას საჯარო სექტორის წევრების ერთიანობისთვის, არამედ ასევე ზრდის სტრატეგიული ქცევის ალბათობას, რომელიც სამომხმარებლო მომსახურებას უფრო ეფექტურს ხდის. ამ თვალსაზრისით, შესაძლოა უფრო ადვილი იყოს პროფესიული კავშირების და მათი როლის ხელახალი სტრუქტურირება უფრო ღია და გამჭვირვალე გზით: ეს პროცესი შესაძლოა განხორციელდებოდეს იქნეს მათთვის სტაბილური ავტონომიის მინიჭების, ანტიმონოპოლიური საკითხების შესახებ ცნობადობის ამაღლების გზით, რომელიც უზიარებს დასაქმებულებს, დაარღვიონ ხელშეკრულება.

მას შემდეგ, რაც აშშ-ის შრომის სამართლის კემბრიჯის სახელმძღვანელო იქნა დაანონსებული 21-ე საუკუნეში, დაიწყო შრომის მოწესრიგების

ახალი ხედვის შესახებ იდეების, ისევე, როგორც ანტიდისკრიმინაციული რეგულაციების წარმოდგენა სუპრანაციონალურ დონეზე.

მულტიდისციპლინური და მულტიპერსპექტიული მეთოდოლოგია, რომელიც ამ სახელმძღვანელოშია შემოთავაზებული, იძლევა სიღრმისეული და აკურატული ანალიზის საშუალებას საჯარო და კერძო სამართლის ორ საკითხზე, ესენია: დამოუკიდებელი კონტრაქტორის და ერთობლივი დასაქმების ცნება.

ეს ორი, თითქოს, თავისი ბუნებით, ზოგადია და ნაკლებდისკრიფციული, თუმცა, ყველა ზემოთქმული ნიშნის გათვალისწინებით, ორი სიკეთის, ორი უფლების შეპირისპირებას გულისხმობს. კანონიერი დისკრიმინაციის შეფასებისთვის, არსებითია პროცესის ლეგიტიმურობის, პროპორციულობის განსაზღვრა. აღნიშნულთან მიმართებით, განხორციელებული ცვლილებებით, მთელი რიგი პუნქტები ეთმობა საგამონაკლისო ფაქტორებს, იქნება ეს გონივრული მისადაგებისა თუ აუცილებლობის ფარგლები, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე.²⁹ საგამონაკლისო ნორმათა ზუსტი გაწერა ერთ-ერთი არსებითი მექანიზმია, რომ არ მოხდეს უფლების დარღვევა, ამ ნორმათა გათვალისწინებით.³⁰

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, თანასწორობის პრინციპთან ერთად, ქვეყნის პრიორიტეტული მისწრაფებაა. სამართლებრივი სახელმწიფო ვერ შედგება უფლებების დაცვის გარეშე. არსებული საკანონმდებლო ბაზა ვერ წარმოადგენს სრულ შეფასებით სპექტრს, თუ არ იქნება მავალდებულებელი მექანიზმი საჯარო და კერძო ორგანიზაციების მიმართ. ინსპექტორისადმი წარდგენილი განცხადებების წილი მცირეა, რადგან, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, მეტი წილი შრომითი ხელშეკრულებები, სტანდარტული ანტიდისკრიმინაციული ნორმების გაწერის გარდა, არ მოიცავს თუნდაც ვიქტიმიზაციაზე მითითებას. ხაზგასასმელია, რომ დასაქმებულთა უმეტესობის ცნობიერება არ მოიცავს სამართლებრივ ნორმათა განმარტებას, მათი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას, ვის და როგორ უნდა მიმართოს, რატომ და როდის. მით უფრო, რომ შრომითსამართლებრივ ხელშეკრულებებში (მათ შორის, იქნება ეს მომსახურების, სააგენტო თუ საბროკერო ხელშეკრულებები) არ არის გაწერილი საქართველოს შრომის კოდექსის ნორმათა ფართო სპექტრი. არც ხელშეკრულების გაცნობისას (ნების გამოხატვის ერთ-ერთი დამადასტურებელი ნიშანი) იცის დასაქმებულმა არათუ მითითებული საერთაშორისო ხელშეკრულებების შინაარსობრივი მხარე, არამედ საქართველოს

²⁵ იხ. *Mapp S.C.*, Human Rights and Social Justice in a Global Perspective: An Introduction to International Social Work, Oxford University Press, New York, 2008, 123.

²⁶ იხ. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს 2014 წლის 2 მაისის №2391-III კანონი.

²⁷ იხ. *Monitoring Compliance with International Labour Standards: The Key Role of the ILO Committee of Experts on the Application of Conventions and Recommendations*, International Labour Office, Geneva, 2019, 15.

²⁸ იხ. *Handbook of Procedures Relating to International Labour Conventions and Recommendations*, International Labour Office, Geneva,

Centenary Edition 2019, 8.

²⁹ იხ. საქართველოს შრომის კოდექსის მე-6, მე-8 და მე-9 მუხლები.

³⁰ იხ. <<https://www.gyla.ge/ge/post/saia-m-saqartvelos-parlaments-shromis-kodeqshi-cvlilebebis-pakettan-dakavshirebit-mosaz-rebebi-tsarudgina#sthash.Tlx19KBq.RbWvbf8u.dpbs>>, [26.05.2020].

მოქმედი კანონმდებლობის დამცავი მექანიზმები. მნიშვნელოვანია, არსებობდეს აქტიური დასაქმებულთა გაერთიანებები, რომლებიც სწორედ მსგავსი ინიციატივებითა და პროექტებით განახორციელებენ ცნობიერების ამაღლებას.

კონსტიტუციის მიზნების მიღწევისა და შრომითი ურთიერთობების ფინანსური და რესურსული მაჩვენებლების მდგრადობის წინაპირობაა დასაქმებულის დაცვა შემხები უარყოფითი ზეგავლენებისგან. სწორედ დასაქმებული განაპირობებს, დამსაქმებელთან ერთად, შრომითი ბაზრის პროდუქტიულ მაჩვენებელს. იყო პროდუქტიული შრომით ბაზარზე, ნიშნავს, მომიჯნავე სფეროებს კვეთდე საერთო შიდა პროდუქტის ზრდაში, კერძოდ, თუკი მოთხოვნა და მიწოდება ფინანსურ ნაწილში თვალადა, შეფასებითია ამ ურთიერთმონაცვლეობის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი. სწორედ ამიტომ, რამდენადაც პრევენციული და სისტემურია არადისკრიმინაციული გარემო, იმდენადვე მაღალია პროდუქტიულობის მაჩვენებელი. შრომის ბაზარი ადეკვატურია მიმდინარე ხარვეზების მიმართ, რაც კონსტიტუციის ახალი რედაქციის პირდაპირი ამოცანაა³¹, ასოცირების შეთანხმებით განსახორციელებელი საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით.

განხორციელებული ცვლილებები რამდენადაც ფაკულტატიურ ნუმერაციას გულისხმობს, იმდენადვე მოიცავს ნორმის სიგზადის ნაკლებობასა და საგამონაკლისო ნორმათა შესაძლებლობის ინტერპრეტირების არეალს, რომლის მიმართულეა უნდა იყოს არა დამსაქმებლის, არამედ დასაქმებულისადმი. ამ უკანასკნელს სამომხმარებლო ენაზე უნდა მიუწვდებოდეს ხელი ყველა ამ დეფინიციის, დაშვების ჩარჩოზე, უნდა ერკვეოდეს დარღვეული უფლების ირიბ ბუნებაში, მით უფრო, რომ დისკრიმინაციის აღმოჩენა, წინასახელშეკრულებო ურთიერთობის, კონკურსის პირველი ეტაპისას დასაბუთებულობისა თუ შინაგანაწესის ხელმისაწვდომობა ნაკლებრელევანტურია კოდექსის მიზნების განხორციელებისა და აღსრულების მისაღწევად, რისი დასტურიც, ყოველი ცვლილების თანამდევად, არის მიმართვიანობის სიხშირე და ინფორმირებულობა, ინსპექტირების ფართო შესაძლებლობა, მათ შორის,

³¹ იხ. Jube S., Labour and International Accounting Standards: A Question of Social Justice, International Labour Review, Vol. 159 (2020), No. 1, 97.

შიდაორგანიზაციული მოკვლევის ფარგლებში.³²

ამ მექანიზმების, დაცულობისა და პროდუქტიულობის კუმულაციური აღსრულებას კანონის მიზნები და მოლოდინები. შრომის ინსპექტირების პირობების 2018 წლის ანგარიშით, შემოწმებულ ორგანიზაციებში გვხვდება ის დისკრიმინაციული დარღვევები, რომლებიც, საბოლოოდ, ერთიან სივრცეს ქმნის, დასუსტებული პრევენციული და აღმკვეთი მექანიზმებით.³³ გამოწვევების აღსასრულებლად, აუცილებელია, სოციალური კვლევებითა და ზუსტი სტატისტიკური მაჩვენებლებით განისაზღვროს დისკრიმინაციის განმაპირობებელი ფაქტორები და შესაძლო პრევენციული მექანიზმებით განხორციელდეს საპილოტე პროექტები. აღნიშნული მიზნები მოითხოვს პროცესის ღიაობასა და გაჯანსაღებას.³⁴

3. თანამდევი სამართლებრივი შედეგები და მათდამი ზრძოლის მექანიზმები

დისკრიმინაციას, რომლის მიმართაც დასაქმებული ხმას იმაღლებს, თან სდევს მიმართვა სასამართლოსადმი სარჩელის საშუალებით, ანდა განცხადებით სახალხო დამცველის აპარატისადმი. პირველ შემთხვევაში, შესაძლებელია მატერიალური და მორალური ზიანის მიღება ფაქტობრივი მოცემულობიდან გამომდინარე. არსებითია, გამოიყოს დისკრიმინაციის ფაქტები ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სივრცეში, იქნება ეს საჯარო თუ კერძო ორგანიზაცია, ამავდროულად, დაქირავებით განხორციელებული სამუშაოს შრომითსამართლებრივი ბუნება, მოცემული დისკრიმინაციის ფაქტის განსასაზღვრავად. არსებითია ის, რომ დისკრიმინაციისგან დაცვის მექანიზმები მსგავსი ნიშნით არ განსხვავდებიან, ანუ იქნება შტატიანი თუ შტატგარეშე/გამოსაცდელ ვადაში დასაქმებული პირი, ყველასადმი უპირობოდ

³² იხ. შრომის რეფორმის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, თბ., 2020, 2-3, 9-10.

³³ იხ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის საქმიანობის 2018 წლის ანგარიში, თბ., 2018, 52.

³⁴ იხ. ნიკოლსონი მ., ანგარიში საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წწ. ეროვნული სტრატეგიის პროგრესის შესახებ და რეკომენდაციები სამომავლო მიდგომებთან დაკავშირებით, თბ., 2017, 48.

მოქმედებს დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმები. თუმცა, შრომითი დავის დროს, საჯარო და კერძო ორგანიზაციისადმი, თუკი საჯარო ორგანიზაციაში დისკრიმინაციის მოტივით მოხდა პირის განთავისუფლება ინდივიდუალურსამართლებრივი აქტით, ბათილობის საფუძველით წარდგენილი სარჩელი ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით წარმართება.

სასამართლო წარმოება ის სამართლებრივი ბერკეტი პირთათვის, რომლითაც ახორციელებენ დარღვეული უფლების აღდგენას, ანდა ფაქტის სამართლებრივ შეფასებას, გარკვეულ შემთხვევებში, თანამდევ კომპენსაციასთან ერთად. საპროცესოსამართალწარმოებით, დისკრიმინაციის შესაძლო ფაქტის გასაჩივრებისას ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება ფაქტის შეტყობის, ფაქტის დადგენის დღიდან. სასარჩელო წარმოებისას, მტიცების ტვირთი შესაძლებელია გადავიდეს დამსაქმებელზე, თუკი წარმოებისას მოსარჩელე შუამდგომლობის საფუძველზე მტიცების ტვირთს გადაწონის დამსაქმებელზე. ადმინისტრაციული საპროცესო სამართალწარმოებით, აქტის ბათილობის ერთთვიანი ვადის ხანდაზმულობით შეტანილი სარჩელისას, ერთჯერადი გასაჩივრების მექანიზმების ამოწურვის შემდგომ, სახელმწიფო არის ვალდებული, აგოს პასუხი ფორმალურ-მატერიალური წესებით დარღვეული აქტის ბათილობისას.

დისკრიმინაციული მოპყრობისას, საბოლოო სამართლებრივი შედეგია ამ ქმედების შეწყვეტის მოთხოვნა, მატერიალური/არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მეშვეობით. თავის მხრივ, დასაქმებულს რჩება უფლება:

- ა) შეიკავოს თავი ვალდებულების (სამუშაოს) შესრულებისგან;
- ბ) გაიფიცოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;
- გ) მოშალოს ხელშეკრულება. ხოლო დისკრიმინაციის საფუძველით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დასაქმებულს აქვს:
 - ა) პირვანდელ სამსახურებრივ პოზიციაზე აღდგენის მოთხოვნის უფლება;
 - ბ) ტოლფას პოზიციაზე მუშაობის გაგრძელების უფლება;
 - გ) კომპენსაციის მიღების უფლება;
 - დ) იძულებითი მოცდენისთვის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება;

ე) დისკრიმინაციის ფაქტის აღიარების მოთხოვნის უფლება;

ვ) დისკრიმინაციის განმახორციელებელი პირის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მოთხოვნის უფლება;

ზ) დამსაქმებლისა და დისკრიმინაციის განმახორციელებელი პირის სოლიდარული პასუხისმგებლობის მოთხოვნის უფლება – რეგრესის უფლებით.

განხორციელებული ცვლილებებით, ნიშანდობლივია სანქციების მექანიზმების ამოქმედება კონკრეტული საჯარიმო მექანიზმებით.³⁵ ამასთან, მეტად პოზიტიურია პრევენციული მექანიზმების რეალიზება დამდგარ ფაქტთან მიმართებით. არსებული სტატისტიკა მიუთითებს მწირი კვლევის ფარგლებში არსებულ საგანგაშო მდგომარეობაზე.³⁶ ასევე, სასამართლოს მხრიდან არ არსებობს დისკრიმინაციის ფაქტით წარმოებული შრომითი დავების სტატისტიკა³⁷, როდესაც, სხვა დავებთან შედარებით, მას განსაკუთრებული ბუნება ახასიათებს და ჯერ კიდევ საკვლევ სფეროს განეკუთვნება.

დისკრიმინაციის ფაქტის შეტყობა, როგორც ვადის დინების ათვლის ეტაპი, გამოიხატება პირდაპირი/არაპირდაპირი დისკრიმინაციის ფაქტის შეტყობაში.³⁸ ამ პერიოდის განმავლობაში, არსებითია პროცესის სამართლებრივი დაცულობა, რომელიც პროცესს არ გადაიყვანს დამატებით წარმოებაში ან პროცესის მსვლელობისას განმეორებით დისკრიმინაციას არ ექნება ადგილი. კერძოდ, სასარჩელო წარმოებისას, თუ დასაქმებული გათავისუფლდა ან მისდამი იყო გამოხატული უარყოფითი მოპყრობა ამ სასარჩელო წარმოების მოტივით. კანონის მოთხოვნით, მსგავსი ქმედების განხორციელება ეკრძალება დამსაქმებელს: აკრძალულია დასაქმებულისათვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ან/და მის მიმართ ნებისმიერი სახის უარყოფითი მოპყრობა და მასზე ზემოქმედება იმის გამო, რომ დასაქმებულმა დისკრიმინაციისაგან დასაცავად განცხადებით ან საჩივრით მიმართა შესაბამის ორგანოს ან ითანამშრომლა მასთან.³⁹

³⁵ იხ. „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2020 წლის 29 სექტემბრის №7177-III ორგანული კანონი, 78-ე მუხლი.

³⁶ იხ. <<https://tcc.court.ge/ka/Statistics>>, [26.05.2020].

³⁷ იხ. ბენდელიანი ნ., ტურკი პ., ამაშუკელი მ., ხეჩუაშვილი ლ., კვლევის ანგარიში „გენდერული დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე საქართველოში“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბ., 2014, 27-30.

³⁸ იხ. იქვე, 54, 59.

³⁹ იხ. Mapp S.C., Human Rights and Social Justice in a Global Perspec-

ვიქტიმიზაციის უფლება, როგორც უთანასწორო მოპყრობისა და თანაბარი მოპყრობის პრინციპის შესაძლო დარღვევისას სასამართლოში აღძრული სარჩელის დაცულობა შედეგის მიღწევამდე, კანონიერი ნდობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის რეალიზების მექანიზმია. პარალელისთვის, ადმინისტრაციულსამართლებრივ ურთიერთობებში სუსპენზიური ეფექტი პროცესის დამცავი მექანიზმია შედეგის მიღწევის განსაზღვრისა და ნაკლები ზარალის ფიქსირებისთვის.

ვიქტიმიზაციის უფლება შესაძლებელია კვეთდეს დამსაქმებლის სახელშეკრულებო თავისუფლებას, გაათავისუფლოს დასაქმებული, რამდენადაც ვიქტიმიზაციით იბოჭება დამსაქმებელი სასარჩელო წარმოების დროს. ხელშეკრულების თავისუფლება დამსაქმებლის ის უფლებაა, რომლის დროსაც, ის თავისუფალია როგორც დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების თავისუფლებით, ისე ხელშეკრულების თავისუფალი ბუნებით კანონით აუკრძალავი ფორმის ფარგლებში. თუმცა, ამდენადვე, ამ ორი უფლების შეპირისპირებისას, უპირობოა იმ უფლების ხელყოფის თავისარიდების უზრუნველყოფა, რომელ მხარეზეც შესაძლო ხელყოფილი კონსტიტუციური უპირატესი სიკეთეა და, დამატებით, ზარალის გაორმაგებული ზომა მეტად წონის ხელყოფილი უფლების ზიანს.⁴⁰ სწორედ ამიტომ, პროპორციულობის, მიზანშეწონილობის ფარგლებით დამსაქმებლის თავისუფლების შეზღუდვა ემსახურება უპირატესი უფლების დაცვას. არსებითია საქართველოს შრომის კოდექსის ნორმის მითითება „უარყოფითი მოპყრობის“ აკრძალვაზე. რამდენადაც თავად დეფინიცია ზოგადი და შეფასებითია, იმდენადვე უარყოფითი მოპყრობა მომიჯნავედ ესაზღვრება ამავე კანონის დისკრიმინაციის დეფინიციის განმარტებას – მტრულ, საშიშ, დამამცირებელ, უღირს მოპყრობას, რომლებიც ამდენადვე შეფასებითია, თუმცა აღქმადი და ხელშესახები, გამოხატული ქმედებით ან სიტყვიერი, კრებითი მოცემულობით.⁴¹ შეფასებითი ტიპის ნორმები ინდივიდუალური და ნაკლებშემოსაზღვრულია, თუმცა ასეთი ნორმების შეფარდება წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობას ეფუძნება, რადგან

სახეზეა განმეორებითი ტიპის „დანაშაულის“ მსგავსი ქმედებები, რაც დისკრიმინაციას აორმაგებს და დამსაქმებელს უპირატეს, არარელევანტურ პოზიციაში აყენებს.

რამდენადაც შეიძლება დისკრიმინაციას „დანაშაულის“ ნიშნები ჰქონდეს, რადგან ფსიქოლოგიური ძალადობის შინაარსობრივი ელემენტებით ხასიათდება, იმდენადვე მისდამი უპირატესი უფლებით აღჭურვა აუცილებელია შრომით ურთიერთობებში სამართლებრივი გარემოს ფორმირებისთვის. სწორედ ეს ნიშნები განაპირობებენ კანონის აღსრულების მექანიზმს.

4. ვიქტიმიზაცია დასაქმებულის დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და სამომავლო პრევენციისთვის

ვიქტიმიზაცია გულისხმობს დასაქმებულის დაცვას შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისაგან, ნებისმიერი უარყოფითი მოპყრობის ან/და ზემოქმედებისგან, იმ შემთხვევისას, როდესაც მან, დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით, განცხადებით/საჩივრით მიმართა ან ითანამშრომლა შესაბამის ორგანოსთან.⁴² სასურველია, მითითებული ნორმა იყოს მეტად მკაფიო და არ მოითხოვდეს უარყოფითი მოპყრობის ან/და ზემოქმედების დეფინიციების ქვეშ მოქცეული ფარგლების ძიებას დასაქმებულის მხრიდან.

პრევენცია სამართლებრივი შედეგის წინასწარი დაცვის მექანიზმია. სწორედ ამიტომ, პრევენციულობის მექანიზმი გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი გარანტიაა სამართლებრივი პრობლემების აღმოფხვრის კუთხით.⁴³

პრევენციულია ვიქტიმიზაცია იმ კუთხით, რომ მისი იმპერატიულობის მაჩვენებელი განაპირობებს შემდგომ პრევენციებს. პირობითად, თუ აკრძალავთ დისკრიმინაციის არსებით ფაქტორებს – მოპყრობისა და განთავისუფლების ნაწილში, სასარჩელო წარმოებისას, ეს, ფაქტობრივად, ზემოქმედ გარემოებად იქცევა მოპყრობის განზოგადებულ ან განმეორებით ფაქტორზე. ამავე ნორმით, იკრძალება უარყოფითი მოპყრობის რომელიმე ფორმის გამოხატვა ამ დასაქმებულისადმი. მიუხედავად იმისა, რომ დეფინიცია განზოგადებული

tive: An Introduction to International Social Work, Oxford University Press, New York, 2008, 2-30.

⁴⁰ იხ. *Amartya S.*, Work and Rights, International Labour Review, Vol. 152 (2013), No. S1 (Special Supplement), 85-86.

⁴¹ იხ. *ბაქაძური ნ., თოდრია თ., შველიძე ზ.* (რედ.), საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, თბ., 2017, 141.

⁴² იხ. საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი.

⁴³ იხ. *Deflem M.*, Sociology of Law: Visions of a Scholarly Tradition, Cambridge University Press, New York, 2008, 478.

ბუნებისა და წარმოადგენს შეფასებით ნაწილს, ის მაინც არსებითი მექანიზმია, რათა განმეორებითი დისკრიმინაციისგან⁴⁴ დაცულ იქნეს დასაქმებული.

ვიქტიმიზაციის უპირატესობას თან სდევს აღსრულების მექანიზმის ეფექტურობა, რამდენადაც „მსხვერპლად“ შეწირული პირველი ფაქტი აუცილებლად წარმოშობს პრევენციულ დინებებს, ანუ, თუკი აღსრულება იქნება ეფექტური, სანქცირებული, მათ შორის, ბიზნესინტერესის კუთხით, ნაკლებპრესტიჟული, მით უფრო დიდი იქნება დისკრიმინაციის ფაქტების სიმცირე სამომავლო შრომითსამართლებრივ გზაზე.

თუკი, პირობითად, ას ექვს კომპანიაზე მოდის დარღვეული უფლების წილობრივი მაჩვენებელი, იმდენად, რომ ინსპექტირებიდან სასამართლო წარმოებამდე მცირე გზა რჩება პრობლემის აღმოსაფხვრელად, ცხადია, მსგავს შემთხვევაში, აუცილებელია, პრევენციულობამ მიიღოს შემოჭველი სახე, მსგავსად ამკრძალავი, სანქცირებული ნორმებისა.⁴⁵ სასამართლო წარმოების „სტანდარტული“ ვადების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილების მიღებამდე დასაქმებულის უფლება იყოს დაცული, იმ ფორმით, რომ არ დადგეს განმეორებითი დისკრიმინაციის ფაქტი.

ILO-ს 111-ე კონვენციით⁴⁶, 78-ე, 113-ე, 43-ე დირექტივებითა და ასოცირების შესახებ შეთანხმების 30-ე დანართით, საქართველოს აქვს მზაობარატიფიცირების ფარგლებში, რომ დანერგოს მოცემული ნორმებით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რომლის ეფექტური განხორციელება შესაძლებელია კუმულაციურ საფუძველზე. მოცემული ნორმებით აღსრულების მექანიზმის დანერგვა აუცილებელია ვიქტიმიზაციის პროცესის ეფექტურად სამართავად, თუმცა არა ერთადერთი. შესაძლებელია, უფლებით იმდენად შეიზოკა დამსაქმებული, რომ დისკრიმინაციის ფაქტისას, ის წინმსწრებად მოიაზრებს შემოჭვავ მექანიზმს, მაგრამ თანამდევად აუცილებელია, დისკრიმინაციის ფორმები ფართოდ და მკაფიოდ ჩაიშალოს.

დასკვნა

თანასწორობის დარღვევის მზარდი ფაქტები და დისკრიმინაცია ის გამოწვევაა, რომელსაც ებრძვის და მასზე ზემოქმედ შესაძლებლობებს სწავლობს ქვეყანა, სახელმწიფოთა თანამშრომლობის მეშვეობით. რეგულირების ეტაპზე საჭიროა არსებობდეს ეფექტური, დამცავი მექანიზმები, რომელთა შორის მოიაზრება ვიქტიმიზაცია, რომელიც არა მხოლოდ ამ მიზნობრივი შესაძლებლობით გამოირჩევა, არამედ შეუძლია დასაქმებულის სხვა სიკეთეების თანამიმდევრული დაცვაც.

ვიქტიმიზაცია დასაქმებულისადმი პროცესის სამართლებრივი და კანონიერი პროცესის წარმართვისთვის უპირობო დამცავი მექანიზმია. კანონის სიახლე ახალი გამოწვევების საპასუხო მექანიზმის შექმნაა. ეკონომიკური და სამართლის სოციოლოგიური ანალიზით, ამკრძალავი და დამცავი მექანიზმი მეტად აწესრიგებს შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში დისკრიმინაციის ფაქტორს.

სწორედ ამიტომ, პროცესისთვის რელევანტურია, აკრძალულ იქნეს შემხები ფაქტორები და დაცული იყოს მსგავსი ფაქტი შემდგომი „განმეორებითი“ დისკრიმინაციისგან. ამ ნორმის გაწერით შრომით ურთიერთობებში, დისკრიმინაცია შესაძლებელია შემცირდეს და დასაქმებულმა თავი მეტად დაცულად და კანონის იმპერატიულობის საფარქვეშ იგრძნოს, მით უფრო, რომ განხორციელებული ცვლილებებით, მოთხოვნილი სანქციის დაწესება არ უნდა იყოს დასაქმებულისადმი წნეხის, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტორი. ამკრძალავი თუ პოზიტიური მექანიზმები მხოლოდ მაშინ იქცევიან ქმედით მექანიზმებად, თუ მათ შორის არსებული ხიდი დასაქმებულის დაცვაა, რის შედეგადაც მიიღწევა უფლების დაცვის ეფექტური მექანიზმების დანერგვა და განხორციელება.

დირექტივებსა და რეზოლუციებთან ჰარმონიზების ეტაპზე მნიშვნელოვანია, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კუთხითაც დაცული და ყოველმხრივ შეზოჭილი იყოს უფლების დამრღვევი პირი. ვიქტიმიზაციის უფლებით დამსაქმებელი შეზოჭილია და დასაქმებული დაცული სიკეთის უფლებით უზრუნველყოფილი. მიუხედავად ამისა, კომპლექსური ღონისძიებებისთვის არსებითი დანაკლისია საკვლევი მასალის სიმცირე

⁴⁴ ob. Hepple B., Rights at Work: Global, European and British Perspectives, Sweet and Maxwell, London, 2005, 3-4.

⁴⁵ ob. იქვე, 5.

⁴⁶ ob. C111 – Discrimination (Employment and Occupation) Convention, 1958 (No. 111), 1-ლი მუხლი.

სასამართლო პრაქტიკის კუთხით. ასევე, სტატისტიკა უპირობოდ აუცილებელია წარმოების სახასიათო მაჩვენებლებისა და პრობლემების ინსპექტირებისთვის და რეალური მოცემულობის

განსასაზღვრავად. აღნიშნულის გარეშე, ნორმა ეფექტურობას დაკარგავს და მიიღებს ბაც ტონებს შემდგომი სიცოცხლისუნარიანობისთვის.

III. სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

III. CASE LAW REVIEW

The Practice of the Supreme Court of Georgia on Labour Disputes (Court's Explanations About Some Norms)

Abstract

The following overview presents the practice on labour disputes at the Chamber for Civil Cases of the Supreme Court, depending on the evidence from the latest decisions that have been made in 2015-2018. It also consists of cases with the labour code's normative explanations prior to 2015. These have come to attention due to their importance since the topics covered are often the ones to occur in the court cases.

The right to labor and the relations associated with it are vital to each person's life and their interaction with society. Respecting these rights are important in building a socioeconomically strong community as well as a state. Therefore, it is a necessity for a country to find the most efficient ways to provide its citizens with these rights and protect them if needed. This important topic presents a way to achieve the goals while acting in accordance with the law and codes set by the courts.

This overview highlights those clear differences that

exist between normative contents, on the one hand, and its interpretation by the courts, on the other. Even though the courts' interpretations are not mandatory to be taken into consideration all the time, these differences may become a challenge to our modern societies. Therefore, closely investigating all types of interpretations of the law, both by the legislature and the courts, is necessary. In this challenging task, it is important to have open access to information. Only this way, it is possible to overcome the complications that might arise due to the above-mentioned differences.

The given overview provides readers with the possibility to get acquainted with the court's important interpretations. Besides this, it makes the existing practices available to more people than they would be otherwise. Hopefully, this would mean more awareness and, therefore, more protection, while dealing with these complex topics.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა შრომით დავებზე (ცალკეული ნორმის სასამართლოსეული განმარტებანი)

შესავალი

შრომის სამართალი ადამიანთა ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს აწესრიგებს. ამ დარგის უპირველესი ამოცანა დამსაქმებლისა და დასაქმებულის ინტერესთა ბალანსის შენარჩუნებაა, რაც პირდაპირპროპორციულად ზემოქმედებს როგორც ქვეყნის სოციალურ დასამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაზე, სოციალურ სიმშვიდეზე, ეკონომიკის განვითარებაზე, ისე მოქალაქეთა კეთილდღეობასა და მათი საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვაზე, რაც განაპირობებს საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე სამართლებრივი საკითხების საკანონმდებლო მოწესრიგებისა და მათი სწორად გამოყენების აუცილებლობას. შრომის უფლების დაცვა საქართველოში გარანტირებულია როგორც საერთაშორისო აქტებით, ასევე კონსტიტუციითა და ეროვნული კანონებით, თუმცა მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული შეხედულებები ამა თუ იმ საკითხთან მიმართებით, რომლებიც ამ უფლების დაცვას უფრო გარანტირებულს ხდის.

წინამდებარე მიმოხილვის მიზანია, მკითხველს გააცნოს საქართველოს შრომის კოდექსის ცალკეული ნორმის¹ განმარტება, რომლითაც ყალიბდება პრაქტიკა და რომელიც იმავდროულად ქმნის ახალ სოციალურ გარემოს. ნაშრომში წარმოდგენილია სასამართლოს შედარებით უახლესი განმარტებები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებით, როგორცაა: გამოსაცდელი ვადა, როგორც საქართველოს კანონმდებლობაში დამკვიდრებული ახალი ინსტიტუტი, რომლის არსის სწორად გააზრება უზრუნველყოფს ადამიანთა კონსტიტუციური

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მე-5 სემესტრის სტუდენტი.

¹ იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს შრომის კოდექსში 2020 წლის 29 სექტემბერს შესულ ცვლილებებამდე არსებული სასამართლო პრაქტიკა, მოყვანილ გადაწყვეტილებებში განმარტებულ მუხლებს ფრჩხილებში ერთვის მოქმედი რედაქციიდან შესაბამის ნორმებზე მითითება.

უფლების დაცულობას; განსაზღვრული და განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება, მისი წარმოშობის დროის განსაზღვრა და კონკრეტული გარემოებების მითითების გარეშე ამ ურთიერთობის სამართლებრივი კვალიფიკაცია; შვებულება, როგორც რეგლამენტირებული დასვენების უფლება; იძულებითი მოცდენა და პირგასამტებლო ანაზღაურების დაყოვნებისთვის, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში სხვადასხვაგვარად განიმარტება; ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები და მისი შეწყვეტის თავისებურებები, როგორც ყველაზე ანგარიშგასაწევი საკითხი ადამიანთა უფლებების იგნორირების თავიდან აცილების კუთხით. ასევე, ნაშრომში განხილულია დავის გადაწყვეტისას სასამართლოს მოქმედების ფარგლები და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას გასათვალისწინებელი ხანდაზმულობის ვადა.

1. გამოსაცდელი ვადა

1.1. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და მის შეწყვეტასთან დაკავშირებით არსებული თავისებურებები

საქართველოს შრომის კოდექსის (შემდგომში – სშკ) მე-9 მუხლის (მოქმედი რედაქციის მე-17 მუხლი) თანახმად, სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით შესაძლებელია, მხარეთა შეთანხმებით, დასაქმებულთან დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის (მოქმედი რედაქციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი) თანახმად კი, დამსაქმებელს უფლება აქვს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

საკასაციო სასამართლომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და განმარტა, რომ „გამოსაცდელი ვადით პირთან (დროებით დასაქმებულთან) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა დამსაქმებლის პრეროგატივაა და მის დისკრეციულ

უფლებამოსილებას განეკუთვნება, რომლის გამოყენებაც დამსაქმებელს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეუძლია. კანონმდებლის მიერ იმპერატიულად არის განსაზღვრული, რომ პირის გამოსაცდელი ვადით დასაქმებისას მხარეები წერილობით ავლენენ ნებას, კანონით დადგენილი ზღვრული ვადის ფარგლებში წარმართოს მხარეთა შრომითი-სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლის შემდგომი ტრანსფორმაცია ვადიან თუ უვადო ურთიერთობაში დამოკიდებულია იმაზე, თუ საპრობაციო პერიოდში რამდენად გამოავლენს პირი (დასაქმებული) შესასრულებელ სამუშაოსთან შესაბამისობას, რაც უთუოდ გულისხმობს ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებულ სამუშაოზე, მის პიროვნულ და პროფესიულ უნარ-ჩვევებზე დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის შესწავლა-დაკვირვებას და მისი დასკვნის მნიშვნელობას². ამდენად, საპრობაციო პერიოდში დასაქმებული პირის დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ დამსაქმებლის დადებითი მოსაზრება შესაძლოა საფუძვლად დაედოს ამ უკანასკნელის მხრიდან დროებით (გამოსაცდელი ვადით) დასაქმებული პირისადმი შემდგომ შეთავაზებას ვადიან/უვადო შრომითსამართლებრივ ურთიერთობაზე.

ასევე, სასამართლომ ამავე გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ საკონკურსო წინაპირობებით კონკრეტულ პოზიციაზე გამწესება (დაქირავება, დანიშვნა) არ გამოირიცხავს კონკურსით მიღებული დასაქმებულის დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის შემოწმებას გამოსაცდელი ვადის განმავლობაში.²

მან არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის (მოქმედი რედაქციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი) ჩანაწერი – ნებისმიერ დროს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის უფლების შესახებ – ამავე კოდექსის 37-ე მუხლის (მოქმედი რედაქციის 47-ე მუხლი) გათავისუფლების საფუძვლებს უნდა დაუკავშირდეს. მან მიუთითა, რომ სშკ-ის 37-ე მუხლი (მოქმედი რედაქციის 47-ე მუხლი) უკავშირდება არა გამოსაცდელ ვადას, არამედ ამ ვადის წარმატებით გავლის შემდგომ, მხარეთა შორის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის (მოქმედი რედაქციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი) შესაბამისად დადებული შრომითი ხელშეკრულებით

წარმოშობილ ურთიერთობას. აღნიშნული დასკვნა ასევე დაეფუძნა მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის (მოქმედი რედაქციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი) შინაარსსაც, რომელიც განსაზღვრავს, რომ არსებობს შრომის ხელშეკრულების არდადების მხოლოდ ერთი საფუძველი – პირის შეუსაბამობა (პროფესიული ჩვევები, შესაძლებლობები, პირადი თვისებები) შესასრულებელ სამუშაოსთან. „თუ დამსაქმებელს დასაქმებულთან გამოსაცდელი ვადის დასრულების შემდეგ, ხელშეკრულების არდადების შემთხვევაშიც დაგაკისრებთ შეწყვეტის საფუძვლებზე მითითების ვალდებულებასა და მტკიცების ტვირთს, მაშინ გამოსაცდელი ვადა საერთოდ დაკარგავს თავის დანიშნულებას, რადგან კანონმდებელმა გამოსაცდელი ვადა განსაზღვრა, როგორც დამსაქმებლის თავისუფალი მოქმედების სფერო, რომ არ დადოს ხელშეკრულება პირთან, რომელიც შეუსაბამოა შესასრულებელ სამუშაოსთან“.³

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ გამოსაცდელი ვადით დასაქმებული პირის გათავისუფლებისას არ მოქმედებს ის საფუძვლები და მტკიცების ის ვალდებულება, რომელიც გათვალისწინებულია სშკ-ის 37-ე მუხლით (მოქმედი რედაქციის 47-ე მუხლი). თუმცა სასამართლო უთითებს გამონაკლისის თაობაზე, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებული მიუთითებს დისკრიმინაციული საფუძვლით (ხელშეკრულების შეწყვეტა ისეთ დროს და იმ პირობებში, რომლითაც დასაქმებულს მოესპო საკუთარი სოციალური და პროფესიული უნარების გამოვლენის შესაძლებლობა), გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ან მისი გავლის შემდეგ, გათავისუფლების თაობაზე, მტკიცების ტვირთი და ვალდებულება გადადის მოპასუხეზე.⁴

1.2. გამოსაცდელი ვადით დადებული ხელშეკრულების უვადო ხელშეკრულებად მოდიფიცირება

გამოსაცდელ ვადასთან დაკავშირებით ასევე აღსანიშნავია სასამართლოს განმარტება, რომ თუ გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება არ შეწყდება, ე.ი. მხარეები არ გამოავლენენ ნებას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (სუსგ), 2017 წლის 13 ოქტომბერი, №ას-227-216-2017.

³ სუსგ, 2018 წლის 18 აპრილი, №ას-142-134-2017.

⁴ იქვე; 2017 წლის 29 სექტემბერი, №ას-247-235-2017.

და, ამავდროულად, არც შრომითი ხელშეკრულების დადებაზე განაცხადებენ თანხმობას, წარმოიშვება პრეზუმფცია, რომ ხელშეკრულება გაგრძელდა განუსაზღვრელი ვადით.⁵

2. შრომითი ხელშეკრულება

სშკ-ის მე-6 მუხლი (მოქმედი რედაქციის მე-12 მუხლი) განსაზღვრავს ვადიანი და უვადო შრომითი ხელშეკრულების დადების წინაპირობებს. კანონი უშვებს ერთი წლით ან ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობით ვადიანი ხელშეკრულების დადებას, ხოლო ერთ წელზე ნაკლები ვადით დადებული ხელშეკრულების ვადიან ხელშეკრულებად მიჩნევისთვის განსაზღვრავს ობიექტურ საფუძვლებს, რომლებიც აუცილებლად უნდა არსებობდეს. სასამართლოს აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით.

2.1. ერთ წლამდე (განსაზღვრული) ვადით შრომითი ხელშეკრულების დადების წინაპირობები

სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ვინაიდან ვადის განსაზღვრის დასაშვებობის შემოწმება შრომის ხელშეკრულების დადების მომენტში ხორციელდება, ობიექტური საფუძველიც ხელშეკრულების დადების მომენტში უნდა არსებობდეს. ხელშეკრულების დადებისას, ობიექტურ საფუძველზე დაყრდნობით ერთ წლამდე ვადის განსაზღვრა ხელშეკრულების დადების შემდეგ აღარ შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს, ასევე, პირიქით, ვადიანი შრომის ხელშეკრულების გაფორმებისას, დაუშვებელი ვადის განსაზღვრა, შემდგომ შეცვლილი გარემოებების გამო, არ შეიძლება დასაშვებად იქნეს ცნობილი. ნორმის სხვაგვარი ინტერპრეტაცია, სამართლებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით, სასამართლომ საფრთხის შემცველად მიიჩნია.⁶

მე-6 მუხლის 1² პუნქტით (მოქმედი რედაქციის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი) განსაზღვრული კონკრეტული გარემოებები, რომლებიც შრომითი ხელშეკრულების 1 წელზე

ნაკლები ვადით გაფორმების სამართლებრივი საფუძველი შეიძლება გახდეს, მიუთითებს იმაზე, რომ დამსაქმებელი ვალდებულია, დადოს, სულ მცირე, ერთწლიანი ხელშეკრულება ან გააფორმოს ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით. სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ „ეს რეგულაცია არ ახდენს დამსაქმებელთა ინტერესების გაუმართებელ შეზღუდვას, რადგან „სხვა ობიექტური გარემოების“ არსებობა აძლევს შესაძლებლობას მხარეებს, თავად განსაზღვრონ (დამატებითი) ობიექტური საფუძველი, რაც გაამართლებს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების განსაზღვრული ვადით დადებას. იგივე წესი ვრცელდება იმ შემთხვევების მიმართ, როდესაც ერთ წელზე ნაკლებვადიან შრომით ხელშეკრულებაზე უვადოდ დანიშნული დასაქმებულის გადაყვანა ხდება“.⁷ სშკ-ის მე-6 მუხლის 1² პუნქტით (მოქმედი რედაქციის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი) გათვალისწინებული ობიექტური საფუძვლებით დადებული ვადიანი ხელშეკრულების შეწყვეტა დამოკიდებულია სამომავლო მოვლენის დადგომაზე, რომელიც არის განსაზღვრადი ხელშეკრულების დადების მომენტში. ასეთი ვადიანი ხელშეკრულება სახეზეა, როდესაც მისი ხანგრძლივობა უკავშირდება სამუშაოს შესრულების სახეს, მიზანსა და სამუშაოს შინაარსს.⁸

ასევე აღსანიშნავია სასამართლოს მითითება, რომ სშკ-ის მე-6 მუხლის 1² პუნქტის (მოქმედი რედაქციის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი) საწინააღმდეგო პირობაზე მხარეთა შეთანხმება აღნიშნულ პირობას ვერ აქცევს კანონიერად. რადგან „ხელშეკრულების ან მისი რომელიმე პირობის მართლსაწინააღმდეგოდ მიჩნევისთვის არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია აღნიშნულ პირობაზე მოსარჩელის, როგორც ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის, თანხმობის არსებობის ფაქტს“.⁹

2.2. უვადო შრომითი ხელშეკრულება

აღსანიშნავია სასამართლოს განმარტება სშკ-ის მე-6 მუხლის 1³ პუნქტთან (მოქმედი რედაქციის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი) დაკავშირებით, რომლითაც მხარეთა მიერ დადებული ვადიანი ხელშეკრულება ტრანსფორმირდება უვადო ხელშეკრულებად. სშკ-ის მე-6 მუხლის 1³ პუნქტით (მოქმედი

⁵ სუსგ, 2018 წლის 16 ნოემბერი, №ას-1052-2018.

⁶ სუსგ, 2016 წლის 12 თებერვალი, №ას-1251-1191-2014.

⁷ იქვე.

⁸ სუსგ, 2018 წლის 27 თებერვალი, №ას-118-118-2018.

⁹ სუსგ, 2018 წლის 31 მაისი, №ას-1500-1420-2017.

რედაქციის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი) განსაზღვრულია, რომ 30 თვეზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება განიხილება, როგორც უვადო ხელშეკრულება.

კერძოდ, საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ) 319-ე და 327-ე მუხლები) იმპერატიული მნიშვნელობის არ არის და ხელშეკრულების მონაწილეთა უფლება, დადონ ხელშეკრულება ან/და განსაზღვრონ ხელშეკრულების პირობები, ექვემდებარება შეზღუდვას ლეგიტიმური მიზნისთვის (“legitimate purpose”).¹⁰ ლეგიტიმურ მიზანს კი წარმოადგენს „შრომითი ურთიერთობების (ხელშეკრულების) სტაბილურობა, როგორც კონსტიტუციით გარანტირებული შრომის უფლების შემადგენელი ნაწილი (კონსტიტუციის 26-ე მუხლი)“.¹¹ აქედან გამომდინარე, იმ პირობებშიც კი, როდესაც მხარეები განსაზღვრავენ კონკრეტულ ვადას და გამოავლენენ ნებას, თუ რა ხანგრძლივობით სურთ ურთიერთობა, გარკვეული ზღვრის მიღწევისას უპირატესობა ენიჭება კანონით განსაზღვრულ დათქმას და არა მხარეთა ნებას.

3. შვებულება

შვებულებას, რომელიც სასამართლოს მიერ განიხილება, როგორც ადამიანისთვის მინიჭებული დასვენების უფლება, განსაზღვრავს სშკ-ის V-VI თავები (მოქმედი რედაქციის VI-VII თავები), რომელთა თანახმად, შვებულებით (ანაზღაურებადი/ არაანაზღაურებადი) სარგებ-ლობის უფლება აქვს ყველა დასაქმებულს. კანონი გარკვეულ უპირატესობებს ანიჭებს განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ პირებს, როგორცაა ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლის და შვილად აყვანის შემთხვევები. ამავე მიზანს ემსახურება სასამართლოს ბოლოდროინდელი განმარტებები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ როგორც მოთხოვნის უფლების მქონე პირების, ასევე მოთხოვნის განმაპირობებელი სუბიექტების ინტერესების დაცულობას.

¹⁰ სუსგ, 2018 წლის 9 თებერვალი, №ას-20-20-2018.

¹¹ სუსგ, 2016 წლის 15 აპრილი, №ას-1083-1020-2015.

3.1. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებისა და ანაზღაურების შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურება

კანონმდებლობა (სშკ-ის 29-ე მუხლი (მოქმედი რედაქციის 39-ე მუხლი)) დასაქმებულისათვის ითვალისწინებს ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის და ანაზღაურების შვილად აყვანის გამო საშვებულებო დახმარების მიცემას (საშვებულებო ანაზღაურების სახით 1000 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურებას), იმავდროულად, დასაქმებული და დამსაქმებელი შეიძლება შეთანხმდნენ აღნიშნული შვებულების დამატებით ანაზღაურებაზე, რაც, სასამართლოს განმარტებით, დაცული უნდა იყოს მაღალი სტანდარტით. კერძოდ, ამ მიზეზით შვებულების აღებისას გამოყენებულ უნდა იქნეს მიდგომა, რომ თუკი დამსაქმებელი ფაქტობრივად გამოყოფს დასაქმებულისათვის დახმარებას (იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღმატება 1000 ლარს), ეს ქმედება მიჩნეულ უნდა იქნეს დამატებით ზეპირ შეთანხმებად და მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს იმას, მხარეები წერილობით იყვნენ თუ არა შეთანხმებული შვებულების დამატებით ანაზღაურებაზე (გარდა 1000 ლარისა).¹²

3.2. შვებულების გამოყენებისა და ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილების ურთიერთმიმართება

სასამართლომ საქმეზე, რომელიც ეხებოდა ბავშვის მოვლის გამო არაანაზღაურებადი შვებულების გამოყენების დროს ხელშეკრულების შეწყვეტას, მიუთითა, რომ დამსაქმებელს აქვს ვალდებულება, აღნიშნული მიზეზით შვებულების მოთხოვნის შემთხვევაში, შეაჩეროს შრომითი ურთიერთობა. მან ასევე დასძინა, რომ იმ პირობებშიც კი, თუ დასაქმებული საქმის კურსშია მოსალოდნელ გათავისუფლებასთან დაკავშირებით და მაინც ითხოვს შვებულებას, დამსაქმებელს არ შეუძლია შეუწყვიტოს ხელშეკრულება, დასაქმებულის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების მოტივზე

¹² სუსგ, 2016 წლის 13 ოქტომბერი, №ას-325-310-2016.

მითითებით. კერძოდ, სასამართლომ განმარტა, რომ „დასაქმებულის სუბიექტური დამოკიდებულება რეორგანიზაციისა და მოსალოდნელი გათავისუფლების მიმართ, არ შეიძლება ჩაითვალოს ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურების გარეშე შვებულებით სარგებლობის უფლების გამოყენების დამაბრკოლებელ გარემოებად. უფლების არსებობა ან მისი რეალიზაცია ცალკეულ ობიექტურ გარემოებებზე დამოკიდებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს, როდესაც ასეთი გარემოებები არსებითად ცვლიან უფლების განმაპირობებელი ვითარების შემადგენლობას და ეს აშკარად გამომდინარეობს კანონიდან. თუ შვებულების გამოყენების დრო ემთხვევა რეორგანიზაციას, დამსაქმებელს წარმოეშობა ვალდებულება, შვებულებაში მყოფი დასაქმებული არ გაათავისუფლოს სამუშაოდან და გადაიყვანოს იგი სხვა თანამდებობაზე“.¹³

4. იძულებითი მოცდენა

ხელშეკრულების შეწყვეტისას, ასევე, გასათვალისწინებელია იძულებითი მოცდენის ანაზღაურების საკითხი. სშკ-ის 32-ე მუხლის პირველი პუნქტი (მოქმედი რედაქციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი) განსაზღვრავს, რომ დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დრო უნდა ანაზღაურდეს სრული ოდენობით. ჩვეულებრივ, იძულებით მოცდენად განიხილება შემთხვევა, როდესაც შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის გარეშე დამსაქმებელი დასაქმებულს შრომითი მოვალეობების შესრულების საშუალებას არ აძლევს.

სასამართლომ ეს დებულება უფრო ფართოდ განმარტა და მიიჩნია, რომ ხელშეკრულების არამართლობიერი შეწყვეტაც იძულებით მოცდენად უნდა განხილულიყო, „რადგან ამ შემთხვევაშიც არსებობს დასაქმებულის ნება, განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება და მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება, რომელიც დამსაქმებლის მხრიდან არამართლობიერი ქმედების შედეგად საპასუხო შესრულების გარეშე რჩება. ამ შემთხვევაში, დრო შრომის ხელშეკრულების მოშლიდან დასაქმებულის სამუშაოზე აღდგენამდე

დასაქმებულის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენა“.¹⁴

4.1. განაცდურისა და გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების ურთიერთმიმართება

აქვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს იძულებით მოცდენასა და გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურებას შორის განსხვავების თაობაზე სასამართლოს დამოკიდებულების შესახებ.

საკასაციო სასამართლომ ხელშეკრულების შეწყვეტის ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას არ დააკმაყოფილა მოთხოვნა გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების შესახებ, განაცდურის ანაზღაურებასთან ერთად. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „დამსაქმებლისთვის იძულებითი მოცდენის პერიოდის შრომის ანაზღაურების სრულად დაკისრება გამორიცხავს დამატებით გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციას, რამდენადაც დაკისრებულმა თანხამ მოიცვა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული ანაზღაურება და დამატებით კომპენსაციას, კანონით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების გარდა, ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა. ბრძანების ბათილად ცნობით გამოწვეული პირის უფლებრივი რესტიტუცია, სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იწვევს იმ მდგომარეობის აღდგენას, რაც ხელშეკრულების უსაფუძვლოდ მოშლის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა. რესტიტუციის სამართლებრივი არსი გამორიცხავს დამსაქმებლისათვის იმაზე მეტი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას, ვიდრე ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში იქნებოდა, რაც არსებითად განსხვავდება ვითარებისგან, როდესაც პირი არ სარგებლობს ამ მოპოვებული შვებულების უფლებით, გათავისუფლდება დამსაქმებლის მიზეზით და სადავოდ არ გახდის მისი გათავისუფლების მართლობიერებას“.¹⁵

¹³ სუსგ, 2015 წლის 3 აპრილი, №ას-1189-1131-2014.

¹⁴ სუსგ, 2015 წლის 30 მარტი, №ას-902-864-2014; 2015 წლის 28 ივლისი, №ას-371-352-2015. აღსანიშნავია, რომ იძულებითი მოცდენის ანაზღაურება ხელშეკრულების შეწყვეტის დროს უკვე სშკ-თაც არის გათვალისწინებული (მოქმედი რედაქციის 48-ე მუხლის მე-9 პუნქტი).

¹⁵ სუსგ, 2016 წლის 29 ოქტომბერი, №ას-578-553-2016.

5. პირგასამტეხლო ანაზღაურების დაყოვნების ყოველი დღისათვის

სშკ-ის 31-ე მუხლის მესამე პუნქტი (მოქმედი რედაქციის 41-ე მუხლის მე-4 პუნქტი) განსაზღვრავს დამსაქმებლის ვალდებულებას, ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნებისთვის, დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტის გადახდას დასაქმებულისათვის, თუ მხარეებმა ხელშეკრულებით სხვა რამ არ გაითვალისწინეს.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ მუხლით პირგასამტეხლოს მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველს მხარეთა შორის არსებული ფულადი ვალდებულება წარმოადგენს. დასაქმებულს მისი მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ მაშინ, თუ მხარეებს შორის არსებობს შრომითი ურთიერთობა და ხელშეკრულება ჯერ კიდევ არ არის შეწყვეტილი.¹⁶ უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ „გადახდის ვალდებულების არსებობა სახეზეა საბოლოო ანგარიშსწორების გადაუხდელობის დროს (ხელფასი, გამოუყენებელი შვებულება), რაც შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გასაცემ თანხას წარმოადგენს. ნებისმიერ ანაზღაურებასა თუ ანგარიშსწორებაში, რომლის დაყოვნებასაც კანონი უკავშირებს დაყოვნებული დღისათვის გადახდის ვალდებულებას, არ შეიძლება მოვიპოვოთ განაცდური, ვინაიდან განაცდური წარმოადგენს არა სახელშეკრულებო შეთანხმებას, არამედ დასაქმებულისათვის დამდგარი ზიანის ანაზღაურების სახეს“.¹⁷

6. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველები

სშკ-ის 37-ე მუხლში (მოქმედი რედაქციის 47-ე მუხლი) განსაზღვრული შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველებიდან, მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული რამდენიმეს (რეორგანიზაცია, გათავისუფლება მხარეთა შეთანხმებით და ხელშეკრულების შეწყვეტა ვალდებულების უხეში დარღვევის გამო) გამოყოფა, მათი სიხშირიდან, აქტუალობიდან და პრობლემურობიდან გამომდინარე.

6.1. ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას

სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, რეორგანიზაცია არის საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სტრუქტურის შეცვლა, გადაკეთება, გარდაქმნა ან მისი ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმის შეცვლა, რასაც შესაძლოა გარკვეულ შემთხვევაში მოჰყვეს შტატების შემცირება. მნიშვნელოვანია, რეორგანიზაციის პროცესი არ იყოს ფორმალური – როდესაც ის საერთოდ არ ტარდება, ფორმალური ნიშნების მიხედვით რჩება იგივე სტრუქტურული ერთეული, ან ცვლილებებით გაუქმებული სტრუქტურების ნაცვლად შემოდებული იქნება ახალი სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც შინაარსობრივად იმავე ფუნქციის მატარებელია, თუმცა ფორმალური ნიშნებით განსხვავებულია – შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებები რეალურად უნდა ხორციელდებოდეს.¹⁸

თუმცა ორგანიზაციაში რეალურად მიმდინარე სტრუქტურული, ორგანიზაციული ცვლილებები მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოშობს მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერ საფუძველს, თუ დადგინდება, რომ იგი თავისი შინაარსის გათვალისწინებით (ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, შტატების ან/და ხელფასების შემცირების ან სხვა ობიექტური საჭიროების გამო), დამსაქმებელს აყენებს კონკრეტული თანამდებობიდან მუშაკის გათავისუფლების აუცილებლობის წინაშე. მაშასადამე, ამ საფუძველის თავისთავად არსებობა არ შეიძლება გახდეს მუშაკთან ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

გარდა ამისა, აუცილებელი და რეალური რეორგანიზაციის არსებობის შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია ინდივიდუალურად შეაფასოს გასათავისუფლებელ დასაქმებულთა კანდიდატურები, რადგან „კონკრეტული მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა კავშირში უნდა იყოს ა) მუშაკის არაკომპეტენტურ და არასათანადო ქცევასთან; ბ) ეს უნდა მომდინარეობდეს საწარმოს, დაწესებულების თუ მათი სერვისის ოპერატიული საჭიროებიდან“.¹⁹ დასაქმებულის ინდივიდუალურად შეფასების ვალდებულება

¹⁶ სუსგ, 2016 წლის 27 ოქტომბერი, №ას-268-255-2016.

¹⁷ სუსგ, 2013 წლის 30 სექტემბერი, №ას-285-271-2013.

¹⁸ სუსგ, 2015 წლის 29 ივნისი, №ას-414-391-2014.

¹⁹ სუსგ, 2017 წლის 10 ნოემბერი, №ას-1189-1109-2017.

კი გამომდინარეობს შრომის სამართალში მოქმედი ე.წ. “favor prestatoris” პრინციპიდან, რაც დასაქმებულთათვის სასარგებლო წესთა უპირატესობას ნიშნავს.²⁰

6.1.1. მტკიცების ტვირთი

მტკიცებითი უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარე, დამსაქმებელია ვალდებული, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ მას კონკრეტულ შემთხვევაში, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, აღარ ესაჭიროებოდა იმ ფუნქციური დატვირთვის მქონე საშტატო ერთეული, რომელზეც მოსარჩელე იყო დასაქმებული.²¹

6.2. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა მხარეთა შეთანხმებით

რაც შეეხება გათავისუფლებას მხარეთა შეთანხმებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მასზე მოქმედებს ის წესები, რომლებიც დადგენილია სამოქალაქო კოდექსით, ზოგადად, გარიგების ნამდვილობისთვის, რადგან, სასამართლოს განმარტებით, „აღნიშნულ საკითხზე მხარეთა შეთანხმება წარმოადგენს ორმხრივი ნების საფუძველზე დადებულ გარიგებას, რომლითაც წყდება მხარეთა შორის არსებული შრომითი ურთიერთობა“.²²

6.3. ვალდებულების უხეში დარღვევის საფუძველით ხელშეკრულების მოშლა

ვალდებულების უხეში დარღვევა დარღვევის იმგვარ სახეს წარმოადგენს, რომელიც დამსაქმებელს ნდობას უკარგავს მუშაკის მიმართ და, იმავდროულად, გამორიცხავს დასაქმებულის მიმართ ნაკლებად მკაცრი დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას.²³

სასამართლოს მიდგომა უხეშ დარღვევასთან დაკავშირებით განსხვავებულია. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ ამგვარ დარღვევად მიიჩნია

დასაქმებულის სისტემატურად არასაპატიოდ გამოუცხადებლობა.²⁴ აღსანიშნავია, ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილება ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტთან დაკავშირებით დასაქმებულის გათავისუფლების საქმეზე, სასამართლომ ამგვარი ქმედება არ მიიჩნია უხეშ დარღვევად, იმ არგუმენტით, რომ დასაქმებულმა ნარკოტიკული საშუალება მოიხმარა არა საწარმოს ტერიტორიაზე სამუშაო პროცესის დროს, არამედ სხვა ადგილას, გაურკვეველ ვითარებაში.²⁵

6.3.1. ვალდებულების უხეში დარღვევის საფუძველით ხელშეკრულების მოშლისას დამსაქმებლის ვალდებულება

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „დამსაქმებელი კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას უფლებამოსილია, შეწყვიტოს დასაქმებულთან შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, თუმცა, აღნიშნული უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად (სსკ-ის 115-ე), კანონით გათვალისწინებული დანაწესის ზუსტი დაცვით და ისე, რომ არ მოხდეს უფლების ბოროტად გამოყენება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომის სამართალში მოქმედ “ultima ratio“-ს პრინციპის დაცვას – ხელშეკრულების მოშლა უნდა იყოს უკიდურესი ზომა, როდესაც ურთიერთობის შენარჩუნებისთვის სხვა სანქციების გამოყენებას აზრი აქვს დაკარგული“. უფრო კონკრეტულად, სასამართლოს განმარტებით, „დამსაქმებლის მიერ ჩადენილი ყოველი დარღვევა შეფასებულ უნდა იქნეს მისი სიხშირის, სიმძიმისა და, რაც მთავარია, შედეგობრივი თვალსაზრისით. ეს პრინციპი მოითხოვს დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნამდე მისი ქმედების შეფასებას მიზეზშედეგობრივი თვალსაზრისით, დარღვევასა და გათავისუფლებას შორის ზომიერი ბალანსის დაცვას. ნიშანდობლივია, რომ ამავე პრინციპის შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ დარღვევის (გადაცდომის) ჩადენისას გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი ზომები, რომლებიც არსებულ ვითარებას გამოსწორებს,

²⁰ სუსგ, 2016 წლის 29 იანვარი, №ას-941-891-2015.

²¹ სუსგ, 2015 წლის 23 აგვისტო, №ას-646-612-2015.

²² სუსგ, 2016 წლის 20 მარტი, №ას-6-6-2014.

²³ სუსგ, 2017 წლის 15 მაისი, №ას-783-750-2016.

²⁴ სუსგ, 2015 წლის 2 დეკემბერი, №ას-776-733-2015.

²⁵ სუსგ, 2016 წლის 3 მაისი, №ას-1159-1090-2015.

გაუმჯობესებს, დასაქმებულ მუშაკს უკეთეს გახდის, კვალიფიკაციას აუმადლებს, უფრო წინდახედულად და გულისხმიერად მოქცევას აიძულებს“. მხოლოდ ამ ყველაფრის გამოყენების ან/და გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაშია შესაძლებელი დასაქმებულთან ხელშეკრულების შეწყვეტა.²⁶

7. პირვანდელ სამუშაოზე აღდგენა, ტოლფას სამუშაოზე აღდგენა, კომპენსაცია

7.1. შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 პუნქტით (მოქმედი რედაქციის 48-ე მუხლის მე-8 პუნქტი) გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგების (პირვანდელ სამუშაოზე აღდგენა, ტოლფას სამუშაოზე აღდგენა, კომპენსაცია) რიგითობის პრინციპი

სშკ-ის 38-ე მუხლი (მოქმედი რედაქციის 48-ე მუხლი) ეხება ხელშეკრულების შეწყვეტის წესს, ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე შეტყობინების ვადასა და ანაზღაურების საკითხებს. ასევე, ეს მუხლი განსაზღვრავს სასამართლოს მოქმედების ფარგლებს, იმ შემთხვევაში, თუ ის დაადგენს რომ ხელშეკრულება შეწყდა არამართლობიერად. ასეთ დროს, სასამართლოს შეუძლია, ბრძანების ბათილად ცნობასთან ერთად, დამსაქმებელი დაავალდებულოს, რომ პირი აღადგინოს პირვანდელ სამუშაოზე, უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს კომპენსაცია.

სასამართლოს აღნიშნულ უფლებას გარკვეული სპეციფიკა ახასიათებს, რომელიც მრავალგვარი ინტერპრეტაციის საგანი გამხდარა. საკასაციო სასამართლო ამ ნორმას შემდეგნაირად განმარტავს: „ნორმაში მითითებული დამსაქმებლის ვალდებულება რამდენიმე შესაძლებლობას მოიცავს, თუმცა კანონმდებლის მიერ დადგენილი წესი არ შეიძლება იმგვარად განიმარტოს, თითქოს სასამართლოს, დისკრეციული უფლებამოსილებით, შეეძლოს მოხმობილი ნორმის დანაწესის საკუთარი შეხედულებისამებრ გამოყენება. სშკ დამსაქმებელს ავალდებულებს პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს

